# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაგდება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

შაბათი-ორშაბათი, 17-19 ოქტომბერი. 2020 წ. №135-136 (9061-9062) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

## საზღვრის დამრღვევი შევარდნაძე თუ... ამ საუკუნის უვიცობა, სიბრიყვე, ქრთამი?!

დამოუკიდებელი ქვეყნის პირობებში მოქმედი – სააკაშვილების, ნოღაიდელების, მერაბიშვილების, რურუების, კალანდაძეების და სხვა „ნამდვილი“(!!!) თუ „გვარგადაკეთებული“, ვითომ მართლმადიდებელი თუ ნაღდი კათოლიკე ქართველების – ხელისუფლებამ, რომელიც „გარეჯს“ საქართველოს კანონიერ, ისტორიულ მიწა-წყლად არ თვლიდა და უვიცობის, სიბრიყვის თუ „ქრთამის“ გამო ამის შესახებ ოფიციალურად წერდა და „ღრიალებდა“.



3

## სასამართლო რეფორმის გასაგრძელებლად ამერიკის საელჩო გვეხმარება



**ვინაიდან ჭეშმარიტად დამოუკიდებელი, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული სასამართლო ყველა ჯანსაღი დემოკრატიის ფუნდამენტია, აშშ-ის საელჩო სასამართლო რეფორმის გასაგრძელებლად საქართველოსთან მჭიდროდ თანამშრომლობს,** – ამის შესახებ საქართველოში აშშ-ის საელჩოს ინფორმაციაშია ნათქვამი.

**– გუშინ ელჩი კელი დეგნანი კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ წარმომადგენლებს შეხვდა. აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პარტნიორი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს რეფორმის მხარდაჭერაში. იმისათვის, რომ საქართველოს ყველა მოქალაქისთვის მართლმსაჯულება თანაბრად იყოს ხელმისაწვდომი, მეტი საქმეა გასაკეთებელი. ამერიკის მთავრობა ამაყობს, რომ რეფორმის პროცესის გასაგრძელებლად ამ და ბევრ სხვა ორგანიზაციასთან თანამშრომლობს,** – აცხადებენ საელჩოში.

საქართველოში აშშ-ის ელჩის კელი დეგნანის თქმით, მომდევნო პარლამენტმა სასამართლო რეფორმა ადრეულ პრიორიტეტად უნდა დასახოს და ამ მიმართულებით მუშაობა განაგრძოს.

**აბიკ ჩარუხჩევი:**

## ყარაბაღი აზერბაიჯანია, არც სხვისი გვინდა, არც ჩვენსას დავთმობთ!..



5

## ეპიდაფეთქება და არჩევნები! ანუ სად არის ხალხი?!



4

## ერთობლივი ლოცვა მშვიდობიანი კავკასიისთვის



5

**ირაკლი ღარიბაშვილი:**

## დავით გარეჯთან დაკავშირებით საქმე გვაქვს სახელმწიფოს ღალატთან!



3

## რაც წარსულითა და აწმყოთი დავიმსახურეთ



10

## „არაფრობის ნიაღიდან“ „კვირის ნირვებამდე“



7

ლერი ალიმონაკს – საიუბილეო ძღვნად!..




## დაავადებათა კონტროლის ცენტრი მკაცრად გვაფრთხილებს!

დაავადებათა კონტროლის ცენტრი იმ ადამიანებს, რომლებიც კოვიდინფიცირებულთან კონტაქტში იყვნენ და ბინაზე თვითიზოლაციაში არიან, ურჩევს:

**„დარჩით თვითიზოლაციაში ბოლო კონტაქტიდან 12 დღის განმავლობაში; ამ პერიოდში არ წახვიდეთ სკოლაში; სამსახურში, საყიდლებზე; არ იმგზავროთ საზოგადოებრივი ტრანსპორტით; არ მიიღოთ სტუმრები; თუ ოჯახის წევრებთან შეხვედრა გარდაუვალია, გამოიყენეთ პირბადე და დაიცავით უსაფრთხო დისტანცია — სულ მცირე, ერთი მეტრი; აწარმოეთ თერმოსკრინინგი; გაიზომეთ ტემპერატურა დღეში ორჯერ; COVID19-ისთვის დამახასიათებელი ნებისმიერი სიმპტომის შემთხვევაში (ცხელება, ხველება, სუნთქვის გაძნელება) დაუყოვნებლივ დაუკავშირდით 112-ს ან ოჯახის ექიმს;**

**დაიცავით ხელების ჰიგიენა: ხშირად დაიბანეთ ხელები საპნითა და წყლით მინიმუმ 20 წამის განმავლობაში ან დაიმუშავეთ სპირტის შემცველი ხსნარით“, —** აღნიშნულია რეკომენდაციებში.

## ამ ეტაპზე გრიპის ვაქცინაციის ჩატარება ძალიან მნიშვნელოვანია

ამის შესახებ თბილისის ინფექციური საავადმყოფოს ბოქსირებული განყოფილების ხელმძღვანელმა მარინა ენდელაძემ ჟურნალისტებს განუცხადა.



**„ამ ეტაპზე გრიპის ვაქცინაციის ჩატარება ძალიან მნიშვნელოვანია. მოვუწოდებ მოსახლეობას, ჩაიტაროს ვაქცინაცია. ეს აგვარიდებს ორი ინფექციის ერთმანეთზე დამთხვევას, რაც კოვიდინფექციას არ დაამძიმებს. პირველი მაინც რეგულაციებია, პირბადე, რომელიც დაგვიცავს როგორც გრიპისგან, ასევე კოვიდინფიცირებისგან“, —** განაცხადა მარინა ენდელაძემ.

საქართველომ წინა წლებთან შედარებით 3-ჯერ მეტი გრიპის ვაქცინა შეიძინა.

## სავალალო სტატისტიკა

**ბოლო 24 საათის განმავლობაში, საქართველოში კორონავირუსით გარდაცვლილი 11 პაციენტიდან 5 თბილისში მკურნალობდა, 3 — ბათუმში, 2 —იმერეთში, ერთი კი — გორში, —** ამის შესახებ თბილისის ინფექციური საავადმყოფოს ბოქსირებული განყოფილების ხელმძღვანელმა მარინა ენდელაძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

გასული 24 საათის განმავლობაში საქართველოში 11 კოვიდინფიცირებული გარდაიცვალა. კორონავირუსის 818 შემთხვევა დაფიქსირდა.

## ვირუსმა ლომგულა რაგბისტებიც დააავადა



**კორონავირუსმა რაგბის სამყაროშიც შეაღწია. თბილისის „ლოკომოტივისა“ და „იუნკერების“ მორაგბეებს კოვიდ-19 დაუდასტურდათ, რის გამოც, „დიდი ათის“ ორი შეხვედრა გადაიდო.**

კორონავირუსი „ლოკომოტივის“ ერთ და „იუნკერების“ 2 მოთამაშეს დაუდასტურდათ, ხოლო დანარჩენი მოთამაშეები თვითიზოლაციაში არიან გადასული. აღსანიშნავია, რომ ინფიცირებული მოთამაშეები ნაკრების წევრები არ არიან, ამიტომ „ბორჯღალოსნებს“ დაინფიცირების საშიშროება არ ემუქრებათ.

საქართველოს რაგბის კავშირის განცხადებით, კორონავირუსი დადასტურდა პირველი ლიგის კლუბ „დევებში“ და ბათუმის „ა“ლიგის გუნდში.

## ტელეკომპანია „რიონის“ თანამშრომლებს ვირუსი დაუდასტურდათ

**ქუთაისში ტელეკომპანია „რიონის“ თანამშრომლებს კორონვირუსი დაუდასტურდათ, რის გამოც ტელევიზიის მუშაობა პარალიზებულია. როგორც „2020NEWS“-თვის ექსკლუზიურად გახდა ცნობილი, თავდაპირველად კოვიდ-19 ტელეკომპანიის მფლობელს თამარ ღვინიანიძეს დაუდასტურდა.**

ტელეკომპანიაში კორონავირუსის შემთხვევის გამოვლენისთანავე, ყველა თანამშრომელს ტესტი ჩაუტარდათ და რამდენიმე თანამშრომლის პასუხი დადებითი აღმოჩნდა. ტელეკომპანია „რიონის“ დაინფიცირებული თანამშრომლები კოვიდცენტრებში არიან გადაყვანილი, ზოგი კარანტინში იმყოფება.

## ...დისტანციურ სწავლებაზე 20 სკოლა გადავიდა

**ოთხ ქალაქში — თბილისი, ზუგდიდი, რუსთავი და ქუთაისი, სადაც სწავლა 1 ოქტომბრიდან 1-6 კლასებში საკლასო ოთახებში განახლდა, კორონავირუსის შემთხვევების დადასტურების გამო, სრულად დისტანციურ სწავლებაზე გადავიდა 20 სკოლა და 55 სკოლის ცალკეული კლასი, —** ამის შესახებ განათლების მინისტრის მოადგილე ეკა დგებუაძე აცხადებს.

განცხადების თანახმად, აღნიშნულ სკოლებში 132 422 მოსწავლე სწავლობს.

ამასთან, დგებუაძის განცხადებით, სისტემა მართავს პროცესებს და სწავლაზე ხელმისაწვდომობა გარანტირებულია თითოეული მოსწავლისთვის.

## თბილისში 20 ბაღი დაიხურა...

**პერსონალსა და ბავშვებს შორის კორონავირუსის დადასტურების შემთხვევების დადასტურების გამო თბილისში კიდევ ექვსი ბაღი დაიხურა.**

როგორც თბილისის საჯარო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელმა კახა გვანცელაძემ საქართველოს პირველ არხს განუცხადა, თბილისის საჯარო საბავშვო ბაღებში სააღმზრდელო წლის განახლებიდან, 12 ოქტომბრიდან დღემდე, აღნიშნული მიზეზით 20 ბაღია დახურული.



**დახურული ბაღებია: №35, №53, №89, №153, №190, №93, №99, №29, №36, №4, №21, ხუთკუნჭულა, №16, №72, №213, №186, №59, „იმედი,“ №216, №160.**

# დღეს ჩვენი უპირველესი მტერი კორონავირუსია!

**ერთ და ორ კონტინენტზე როდია საუბარი, მთელი პლანეტაა გახვეული იმ უცნაურ, ვერაგ პანდემიაში, რომელსაც კორონავირუსი ჰქვია. მიაქვს და მიაქვს ათასობით ადამიანის სიცოცხლე... კიდევ კარგიო, — ფიქრობს ზოგიერთი, რომ ეს მტარვალი ინფექცია ძირითადად მხოლოდ მოხუცებს ერჩის და მხოლოდ მათ სიცოცხლეს ემუქრებაო... მაგრამ რა გამოვიდა, ამაზე ფიქრიც არ ჰქონდათ დამთავრებული და აღმოჩნდა, რომ ეპიდემია ახალგაზრდებსაც მიუახლოვდა და არც ბავშვებს ტოვებს თურმე „უყურადღებოდ“: თუნდაც „მხოლოდ“ მოხუცებს რომ გვინადგურებდეს, დამამშვიდებელია კი?**

კაცობრიობა საუკუნეებია, იბრძვის და იღვწის ადამიანის ჯანმრთელობისათვის, სიცოცხლის გასახანგრძლივებლად. თურმე რა იცი, წინ რა გელოდება! ერთ მშვენიერ დღეს პანდემიამ სულ სხვა გამოწვევების წინაშე დააყენა მსოფლიო მედიცინა, მთელ პლანეტაზე ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნა, ვინ იცის, რა ელოდება ცივილიზაციას, სასტიკი ომი გაგვიჩაღეს ამ უცხო, სრულიად ამოუცნობი „საომარი აღჭურვილობებით შეიარაღებულმა ჯარისკაცებმა“ და აგერ, სადაც არის, წელიწადი გახდება, გაუგებარ, მაგრამ ნამდვილად მეტად საშიშ ომში ჩაგვაბეს. უძლიერეს ქვეყნებს გადაუარეს და მილიონ-ნახევარი ადამიანის სიცოცხლეც თან წაიღეს.

ჩვენს პატარა სამშობლოს — საქართველოს ვინ დატოვებდა, მაგრამ მაგრად ვიდექით ქართველები ჩვენი ღირსეული ექიმების წყალობით. საშიშროება კი მაინც ნელნელა მატულობს, გუშინწინ იყო თითქოს, 38 პაციენტის სიცოცხლე წაუღიაო ამ ცბიერ ეპიდემიას და ძალიან შევშფოთდით, მდგომარეობის გაუმჯობესებას ველოდით, თითქმის ნახევარი წელი ორ ათეულზე მაღლა არ აწეულა ახალი ვირუსით დაღუპულთა რიცხვი, სხვა ქვეყნებთან შედარებით აშკარად უკეთესი მდგომარეობა იმედებს გვინერგავდა, გავთამამდით კიდეც, პირბადეებიც მოვიხსენით... მრავალრიცხოვანი ქორწილებიც არ დავთმეთ, შეხვედრებსაც მოვუხშირეთ. ახლა კი ორი და სამი ათეული კი არა ათამდე ათეულზეც კი ავიდა დაღუპულთა რიცხვი. ინფექციონისტების მიერ იმის გამოცხადება, რომ გარდაცვლილ პაციენტებს სხვა თანმხლები დაავადებების გამო დაუმძიმდათ მდგომარეობაო, უფრო მეტ შიშს იწვევს.

დღევანდელი ეკოლოგიური გარემოს გათვალისწინებით (სხვა სოციალურ-ეკონომიკურ პირობებშიც), სრულიად ჯანმრთელ ადამიანს იშვიათად თუ მივაგნებთ ალბათ. ამიტომ, ძალიან დიდი სიფრთხილე გვმართებს.

ეპიდემიის მეორე ტალღა რომ დაიწყებოდა, ამას ხშირად შეგვაგონებდნენ ექიმი-ინფექციონისტები, ჩვენ კი მაინც მოვინდომეთ მრავალრიცხოვანი ქორწილები და ზეიმები... შედეგმაც არ დააყოვნა. სამწუხაროდ, საინფორმაციო წყაროები სხვა, ახალმა ამბებმა და მოვლენებმა გადაფარეს... კორონავირუსზე საუბარი შემცირდა. არადა, სწორედ ეს (პანდემია!) უქმნის ჩვენს ეკონომიკას, ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს სიცოცხლეს ძალიან დიდ საფრთხეს და გვაქვს კი გააზრებული, რომ ეს ასეა, რომ სიკვდილ-სიცოცხლესთან გვაქვს საქმე, რომ ომში ვართ უჩინმაჩინთან და თითოეული ჩვენგანის მომზადებაზე, ნიჭზე, უნარზე, ორგანიზაციულობასა და გონიერებაზეა ჩვენი სიცოცხლე დამოკიდებული და არა მხოლოდ მედიცინის მუშაკთა და მთავრობის შრომასა, ცოდნასა და მონდომებაზე. თითოეულ მოქალაქემდე უნდა მივიდეს ინფორმაცია და ცოდნა, თუ რა საშიშროებას წარმოადგენს, რას გვიქადის კორონავირუსი. ამის შესახებ ყოველ ფეხის ნაბიჯზე უნდა გვხვდებოდეს გამაფრთხილებელი ნიშნები.

ახალი კორონავირუსის საფრთხეზე საუბრები არა მარტო ტელემაუწყებლობების საშუალებებით უნდა წვდებოდეს ხალხის ყურს და გონებას, არამედ ვიდეო, აუდიო საშუალებებით, ბანერებითაც კი. უნდა გვესმოდეს რომ ეს საკითხი უფრო დიდი მნიშვნელობისაა ადამიანებისთვის, ვიდრე პოლიტიკა, თუნდაც თავად არჩევნები. მაგრამ მაინც საეჭვოა, კარგად გვესმის თუ არა, რა შეიძლება მოგვიტანოს ამ საკითხისადმი საზოგადოების გულარხეინობამ...

კარგია, რომ სპეციალისტების შეფასებით, აჭარის რეგიონში, სადაც ამ ბოლო დროს კორონავირუსის ცეცხლი ბრიალებდა, ახლა ნელ-ნელა ცხრება, მაგრამ ყურადღების მოდუნების უფლება მაინც არა გვაქვს! მით უფრო, როცა დედაქალაქში ინფექციით დაავადებულ პაციენტთა რიცხვი მატულობს. ამიტომაც არის, რომ პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას ხელმძღვანელობით „უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო“ მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს მოუწოდებს, მაქსიმალურად შეასრულონ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტების რჩევები, ატარონ პირბადე, დაიცვან სოციალური დისტანცია და მაქსიმალურად შეინარჩუნონ მუშაობის დისტანციური რეჟიმი. საზოგადოების დიდ ნაწილს კარგად გვესმის, რა ძნელბედობის ჟამი დაუდგა დღევანდელ ხელისუფლებას, როგორ ილვწიან ინფექციის დასამარცხებლად.

რა თქმა უნდა, გვჯერა სამედიცინო პერსონალის და ვხედავთ მათ თავგანწირულ შრომასაც, მაგრამ საუბედუროდ, არიან ადამიანები, შავ ლაქებს რომ ეძებენ ყველგან და ყველაფერში, იქაც კი, სადაც თვალს მოგჭრის ექიმის გაქათქათებული თეთრი ხალათი. მაგრამ ისინი სულ უკმაყოფილონი არიან და ყოველ წინმსვლელს და ყოველგვარ საწინაოს ტალახს ესვრიან. თურმე საავადმყოფოები და საწოლები არ გვყოფნის, თურმე პაციენტებს შესაბამისად ვერ უვლიან და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი „თურმეა“ ზოგიერთთა თავში (ამას, ყველაფერს პოლიტიკურ თამაშებს ეძახიან. ხალხს რომ ტყუილებით ტვინს უბურღავენ, ამას რა დავარქვათ?), რა თქმა უნდა, ამ უეცრად და მოულოდნელად მოვარდნილ ინფექციას წინასწარ მომზადებული ჩვენ კი არა, ეკონომიკურად ძლიერი, დიდი სახელმწიფოებიც კი ვერ შეხვდნენ (ან როგორ შეხვდებოდნენ!), მაგრამ ბევრი ქვეყანა გააკვირვა საქართველოს მობილიზებამ და უნარმა ინფექციასთან ბრძოლაში.

**ჩემს ძვირფას მკითხველს, მე, როგორც საზოგადოების ერთ-ერთმა წევრმა, მინდა, მივმართო, რომ ჩვენზე, საქართველოს თითოეულ მოქალაქეზე ბევრი რამ არის დამოკიდებული: საკუთარ თავს თუ მოვუვლით, მედიკოსთა და მთავრობის რეკომენდაციებს გამოვიყენებთ, უფრო მეტ წესრიგსა და ინფორმაციულობას მოვითხოვთ და დავიცავთ კიდეც, ჩვენც კარგად ვიქნებით, ოჯახის წევრებიც კარგად გვეყოლებიან, ხალხიც და ჩვენი ქვეყანაც მალე დაძლევს ამ საშინელ პანდემიას! ყველამ ერთმანეთს მივეხმაროთ პანდემიის დაძლევაში, ვიცოდეთ, რომ დღეს ჩვენი უპირველესი მტერი კორონავირუსია!**



**გულნარა სტურუა**

# საზღვრის დამრღვევი შევარდნაძე თუ... ამ საუკუნის უვიცობა, სიბრიყვე, ქრთამი?!



უცნაური კაცი ყოფილა ეს შევარდნაძე და უცნაურ ხელისუფლებასაც თავკაცობდა, რამეთუ დღისით, მზისით, მთელი დუნიის დასანახ-გასაგონად უცნაურ „ქველმოქმედებას“ ეწეოდა.

წარმოგიდგენიათ?! —

**— „სხვა ქვეყნის“ მიწა-წყალს „მუზეუმ-ნაკრძალად“ აცხადებდა;**

**— „სხვა ქვეყნის“ მიწა-წყალზე მდგომ ტაძრებს აღადგენდა;**

**— „სხვა ქვეყნის“ მიწა-წყალზე აცოცხლებდა, ამწვანებდა და აყვავებდა უდაბნოს!!!**

**— „სხვა ქვეყნის“ მიწა-წყალზე გაყავდა წყალი, საავტომობილო გზა, ელექტროხაზები;**

**— „სხვა ქვეყნის“ მიწა-წყალზე ჩაასახლა ხალხი;**

**— „სხვა ქვეყნის“ მიწა-წყალზე უშენებდა ახალმოსახლეებს ბინებს, სახლებს, კულტურის კერებს;**

**— „სხვა ქვეყნის“ მიწა-წყალზე ქმნიდა საწარმოებს, სოფლის მეურნეობის სტრუქტურებს;**

**— „სხვა ქვეყნის“ მიწა-წყალზე აწესებდა სახალხო დღესასწაულს „გარეჯობას“;**

**— „სხვა ქვეყნის“ მიწა-წყალზე ჩამოყავდა სტუმრები და მარშალიც კი;**

**— „სხვა ქვეყნის“ მიწა-წყლიდან სამხედრო პოლიგონის გაყვანის პროცესი დაიწყო და მისმა მემკვიდრეებმა მოახერხეს ამ საქმის დაგვირგვინება;**

**— „სხვა ქვეყნის“ მიწა-წყალზე ნიშნავდა რაიკომის მდივნებს, რომელთაგანაც ერთმა უვაჟკაცესმა ქალმა, გვარსახელად მედეა მეზვრიშვილმა, იმ(!!!) საუკუნის რამდენიმე წელიწადში, „იმპერიის“ პირობებში გააკეთა „გარეჯისთვის“ უფრო მეტი, ვიდრე ამ(!!!) საუკუნის დროს, დამოუკიდებელი ქვეყნის პირობებში მოქმედი — სააკაშვილების, ნოღაიდელების, მერაბიშვილების, რურუების, კალანდაძეების და სხვა „ნამდვილი“(!!!) თუ „გვარგადაკეთებული“, ვითომ მართლმადიდებელი თუ ნაღდი კათოლიკე ქართველების — ხელისუფლებამ, რომელიც „გარეჯს“ საქართველოს კანონიერ, ისტორიულ მიწა-წყლად არ თვლიდა და უვიცობის, სიბრიყვის თუ „ქრთამის“ გამო ამის შესახებ ოფიციალურად წერდა და „ღრიალებდა“.**

და ყველაფერ ამ „ბოროტებას“ წინათ მშვიდად ადევნებდა თვალს ნავთობით უმდიდრესი მეზობელი, ერთხელაც არ გაუპროტესტებია მის „საშინაო საქმეებში“ უცხო ქვეყნის ხელისუფლების „ჩარევა“. სამაგიეროდ, ბედოვლათთა და ხარბ მაღალჩინოსანთა „მოღალატეობრივი“ პოზიციის შედეგად, ახლა საქართველო პოლიტიკური ხვეწნა-მუდარის თუ ბრძოლის ვითარებაში ცდილობს, დაიბრუნოს არა მარტო უკანონოდ გასხვისებული ტერიტორია თუ უმნიშვნელოვანესი ისტორიულ-რელიგიურ-კულტურული კომპლექსი, არამედ... ეროვნული ღირსება.



**და ამ ისტორიის შემხედვარე, ხომ უნდა გადაირიო და მთელ საქართველოსთან ერთად დასცხო მქუხარე ოვაციებში გადაზრდილი სიმწრის ტაში, კუკური?!**

**ნუგზარ ფოფხაძე**

**P. S.: მადლობა „ტიტე ნატუტარს“ მოძიებული მასალისთვის.**



გარეჯობის დღესასწაულზე. 1978 წელი.

---

**◎ აქ ოდით ქართული ლოცვა აღევლინებოდა**

# ეს საქართველოს მიწა-წყალია!..



## ირაკლი ღარიბაშვილი: დავით გარეჯთან დაკავშირებით საქმე გვაქვს სახელმწიფოს ღალატთან!

დავით გარეჯის საკითხზე საქმე გვაქვს სახელმწიფოს ღალატთან, უდიდეს დანაშაულთან, რასაც სახელმწიფო მიწა-წყლის გადაცემის მცდელობა ჰქვია. ამის შესახებ თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა „იმედის“ ეთერში დავით გარეჯის საკითხზე საუბრისას განაცხადა.

ღარიბაშვილმა ეთერში ქრონოლოგიურად გაიხსენა ყველა ის პროცესი, რაც დავით გარეჯის საკითხთან დაკავშირებით ჯერ კიდევ მისი პრემიერობის დროს ხდებოდა.

**„მოვყვები ქრონოლოგიურად, როგორ დაიწყო ეს ყველაფერი. 2013 წლის ბოლოს გავიცანი მეუფე კირიონი. ის მომიყვა, რომ 2007 წლამდე ქართველი მესაზღვრეები იდგნენ დავით გარეჯის ქედზე. უცებ გადაწყვეტილება მიიღეს და ჩვენს მესაზღვრეებს ეუბნებიან, ბიჭებო ახლა თქვენ ჩადიხართ ქვევით, რადგან ამ ქედზე უნდა დადგნენ აზერბაიჯანელი მესაზღვრეებიო. ბუნებრივია, ამან გამოიწვია ვნებათა ღელვა და გაუგებრობა, რა ხდება და რატომ? რა თქმა უნდა, ვერავითარ სამართალს მათ ვერ მიაღწიეს. მამა კირიონის თქმით, ეს გაუგებარი და მტრული მდგომარეობა გაგრძელდა 2012 წლამდე, ვიდრე ხელისუფლება არ შეიცვალა. არქიმანდრიტმა მთხოვა, რომ იქნებ ამ საკითხში ერთხელ და სამუდამოდ გავერკვიოთ. მე მაშინ პრემიერ-მინისტრი ვიყავი და ეს იყო ჩემი პირდაპირი ვალდებულება. არქიმანდრიტი ალასანიას მეშვეობით გავიცანი, მითხრა, რომ მისი ბავშვობის მეგობარს სურდა ჩემი გაცნობა. შემდეგ გავიცანი ნოდარ ხორბალაძე, უწესიერესი, მაღალი კვალიფიკაციის კარტოგრაფი, რომლის სიჯიუტემ მოგვიყვანა დღევანდელობამდე. ასევე თედო გორძე. მაშინ მე მქონდა უსაფრთხოების საბჭო, ჩემი სათათბირო ორგანო და მინდია ჯანელიძე იყო ამ საბჭოს მდივანი. მინდია ჯანელიძეს დავავალე ამ საკითხის ირგვლივ ყველაფრის გარკვევა და დაიწყეს ინფორმაციის მოძიება“...**

მისივე თქმით, პირველი შოკისმომგვრელი ინფორმაცია იყო, რომ ვერსად ვერ მიაკვლიეს საფუძველთა საფუძველს.

**„ჯერ კიდევ 1938 წელს კავკასიის რესპუბლიკები შეთანხმდნენ, რომ იმ წელს** გამოყენებულ **რუკებს საზღვრების დელიმიტაცია-დემარკაციის დროს, მაშინ საბჭოთა კავშირი იყო და ეს რესპუბლიკები საბჭოთა კავშირში შევიდნენ ასეთი, ასე ვთქვათ საზღვრებით. 1996 წელს, მაშინდელი პრეზიდენტების, ედუარდ შევარდნაძისა და ჰეიდარ ალიევის თაოსნობით 2 სახელმწიფოს შორის შეთანხმება გაფორმდა, რომელშიც წერია შავით თეთრზე, რომ 2 სახელმწიფოს შორის საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციას გააგრძელებდნენ 1938 წლის რუკის მიხედვით. ერთი 200 000-იანი რუკა საქართველოში ვერ მოვიძიეთ. მაშინ დავავალე ჩემს სამსახურებს, რომ დაიწყეთ ამ რუკის მოძიება. არქივებში არ იყო არსად. მიუხედავად იმისა, რომ დიდი რაოდენობით იყო დაბეჭდილი და თითქოს არ უნდა ყოფილიყო რთული“,** — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

თავდაცვის მინისტრმა გულწრფელი მადლობა გადაუხადა საქართველოს მოქალაქეს, დღეს შვეიცარიაში მოღვაწე მეცნიერს და ბიზნესმენს დავით ხიდაშელს, რომელმაც ბიძინა ივანიშვილის თხოვნით ძვირფასი დოკუმენტები მოიძია და სამშობლოს გადასცა!..

---

# კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდა!



## ქვეყნის მოღალატეთა პარტია უნდა აიკრძალოს!

**არასამთავრობო ორგანიზაციის „დავასრულოთ“ წევრი სოსო მანჯავიძე აცხადებს, რომ ორგანიზაცია გეგმავს, მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ გაუქმების მოთხოვნით.**

„აი, რა წერია საქართველოს ორგანულ კანონში „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ.“

**თავი IV**
**პარტიის საქმიანობის შეწყვეტა**
**მუხლი 35**

პარტიის აკრძალვა შეიძლება მხოლოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ამ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

**მუხლი 36**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია აკრძალოს პარტია, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს, ქმნის ან შექმნილი აქვს შეიარაღებული ფორმირება.

* * *

**როგორც ხედავთ, ეს მუხლი თითქოს „ნაციონალური მოძრაობის“ შესახებ არის დაწერილი.**

**ამიტომ, ჩვენ, არასამთავრობო ორგანიზაციამ — „დავასრულოთ“! გადავწყვიტეთ, საკონსტიტუციო სასამართლოს მივმართოთ ამ ე.წ. პარტიის გაუქმების მოთხოვნით.**

**საკონსტიტუციო სასამართლოს მოუწევს განიხილოს სარჩელში მოყვანილი ფაქტების ორგანული კანონის 36-ე მუხლთან შესაბამისობის საკითხი.**

**სარჩელს გავასაჯაროვებთ, რათა ყველას ჰქონდეს იქ მოყვანილ ფაქტებთან წვდომა და საშუალება, მხარი დაუჭიროს სარჩელს ხელმოწერებით, რისთვისაც მას მივცემთ პეტიციის ფორმას.**

**ცხადია, რომ სარჩელს ვთარგმნით და მივაწოდებთ დიპლომატიურ კორპუსს.**

**ეს მარაზმი ქვეყანაში ერთად უნდა დავასრულოთ!“,** — წერს სოსო მანჯავიძე.

როგორც იქნა, ხმამაღლა ითქვა, ავკრძალოთ ეს მავნე პარტიაო. გულითადად ვუჭერ მხარს არასამთავრობო ორგანიზაცია „დავასრულოთ“ წევრის სოსო მანჯავიძის წინდადებას საქართველოს მოღალატე, დესტრუქციული „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აკრძალვის შესახებ.

ბატონმა სოსომ მრავალი ადამიანის გულისნადები გაახმაურა. ეს მავნებლური, ბოროტი პარტია, რომლის მიზანიც ქვეყნის კონსტიტუციური წყობილების დამხობა, მისი ძლადობრივად შეცვლაა, დიახაც უნდა აიკრძალოს. ამ პარტიის ავადსახსენებელმა ლიდერმა და მისმა გარემოცვამ უმძიმესი მემკვიდრეობა დაგვიტოვეს: ქვეყნის ტერიტორიის წათმეული 20 პროცენტი, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ნაწილის ფაქტობრივი დაკარგვა და სხვ. ყველას სად ჩამოთვლი!

და რაც მთავარია: ამ მტრულმა პარტიამ ძალზე ბევრი გააკეთა ერის მთლიანობის გასახლეჩად, არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ ხალხის განსაწყობად, მასში უიმედობის, ნიჰილიზმის ჩასანერგად. ასეთი მტრული, უცხო, ანტიეროვნული პარტია არ სჭირდება ქვეყანას, არ სჭირდება ხალხს. იგი როგორც ერის სხეულზე წარმოქმნილი ავი სიმსივნე, უნდა მოიკვეთოს, უნდა მოშორდეს!



კარგ მთქმელს, კარგი გამგონი უნდა — იმედია სოსო მანჯავიძის მოწოდებას უამრავი ადამიანი გამოეხმაურება.

**ომარ მარგველაშვილი**

# ეპიდაფეთქება და არჩევნები!



## ანუ სად არის ხალხი?!

**— ვიღაცამ ხომ უნდა მართოს ქვეყანა?** — გაღიზიანებული ტონით მომახალა ერთმა ჩემმა ოპონენტმა, როცა საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიებისადმი საკუთარი დამოკიდებულება პრინციპულად გამოვხატე.
**— დიახ, ვიღაცამ უნდა მართოს!** — იყო ჩემი პასუხიც, თან დავამატე — გააჩნია, ვინ იქნება ის „ვიღაცა"...

**ხშირად მეკითხებიან: რა პროგნოზი მაქვს კარს მომდგარ არჩევნებთან დაკავშირებით, როგორი კონფიგურაციით შეიძლება დაკომპლექტდეს პარლამენტი და რას შეცვლის ეს ქვეყანაში?!**

პროგნოზირება საფრთხილო და უმადური საქმეა, მით უმეტეს, „კოვიდ-19"-ით აფორიაქებულ სამყაროში, მაგრამ, ქვეყანაში მიმდინარე საარჩევნო პროცესის ანალიზით შეიძლება მიახლოებითი (არაუტყუარი) დასკვნის გაკეთება: **თუ ყოველდღიურად დაინფიცირებულთა კატასტროფულად მატება საერთოდ ხელს არ აგვაღებინებს არჩევნებზე, შედეგის გამოცნობა არცთუ ისე რთულია.**

არ ვეთანხმები მოსაზრებას, რომ 0-პროცენტიანი ბარიერის დაწესებით საქართველო უკეთეს პარლამენტს მიიღებს.

**მიუხედავად იმისა, რომ ათეულობით პოლიტიკური სუბიექტი მონაწილეობს არჩევნებში, წვრილ-წვრილი — ძველი, ან ახალგამოჩეკილი პარტიებიდან თითოოროლა კაცის გაყვანა მხოლოდ დემოკრატიულ „ფასადს" თუ გაალამაზებს, თორემ, არსებითი ხასიათის ცვლილებებს ვერ მოახდენს — პირიქით, პარლამენტში საჭირო ხმების აუცილებლობის შემთხვევაში, მათი ხმები, ადვილად შესაძლებელია, გაქანებული ვაჭრობის საგანიც კი გახდეს!**

აქედან გამომდინარე, არ ვიზიარებ იმ მოსაზრებასაც, **რომ რამდენიმე შედარებით პატიოსანი და პროფესიონალი ადამიანის საკანონმდებლო ორგანოში შესვლა ქვეყანას სარგებელს მოუტანს! თუმცა, ერთი რამ ცხადია: მათი სახით, თუ ისინი დეპუტატის მანდატს გაინაღდებენ, რამდენიმეთი ნაკლები ნაძირალა მაინც გვეყოლება პარლამენტში!**

თუ უფრო დავაკონკრეტებ: როცა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენის მოხდენა არ შეგიძლია, შენი ხმა პარლამენტის ყრუ კედლებში ჩაიკარგება, „ქარავანი" კი მაინც თავისი გზით წავა!

გულდასმით გავეცანი პროპორციულ სიებს და დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ მათგანში (იგულისხმება არა წვრილი და ახალგამოჩეკილი პარტიები) კანდიდატები, პროფესიონალიზმისა და სხვა საქმიანი თვისებების ნიშნით არ არის შერჩეული — **ისევ ბევრია გაცვეთილი სახეები, ამასთან, ისეთი სახელები და გვარებიც, რომლებიც ამომრჩეველს არაფერს ეუბნებიან. რაც ყველაზე ნიშანდობლივია, მათ არაფერი ესაქმებათ პოლიტიკაში. ცალკე შეფასების საგანია ე.წ. „ცნობადი" სახეების (სპორტსმენები, მომღერლები და ხელოვნების სხვა სფეროს წარმომადგენლები) მოზღვავება პარტიულ სიებში (მარტო ბუბა კიკაბიძე რად ღირს!).**

მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებში რამდენიმე პოლიტიკური სუბიექტი მონაწილეობს, ძირითადი აქცენტი მაინც **„ქართულ ოცნებაზე"** და **„ნაციონალებზე"** (თავის ანასხლეტებიანად) კეთდება.

**ბევრი ვარაუდობს, რომ „ქართულ ოცნებას" გაუჭირდება მომავალ პარლამენტში უმრავლესობის მოპოვება და იგი იძულებული გახდება, დათანხმდეს კოალიციურ მმართველობას. ზოგიერთის აზრით კი, სწორედ ამ დილემას უკავშირდება ახალგამოჩეკილი პარტიების სიმრავლეც, რომელიც საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მმართველი პარტიის სატელიტებად იქცევიან.**

არ არის საფუძველს მოკლებული ეს მსჯელობაც. მე მაინც ვფიქრობ, რომ „ქართულ ოცნებას", ასე თუ ისე, თავი ქუდში აქვს და ეს მოსალოდნელი შედეგი დიდწილად პანდემიას და **გიორგი გახარიას** გაზრდილ ავტორიტეტს უკავშირდება.

**თუმცა, არც იმას გამოვრიცხავ, რომ ეპიდაფეთქების ახალმა ტალღამ უარესობისკენ შეცვალოს „ქართული ოცნების" იმიჯი და მას ვერც გახარიას აღიარებულმა კრიზისმენეჯერობამ უშველოს!**

**მიუხედავად იმისა, რომ ხალხის გარკვეულ ნაწილში დღესაც ეჭქვეშაა პანდემიის მასშტაბების ზრდა და მას ხელოვნურად გაბერილად მიიჩნევენ, ფაქტი ერთია: ასეთი ქაოტურობიდან სახელმწიფოს სრულ პარალიზებამდე (საგანგებო მდგომარეობა, კარანტინი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ზედმეტად მკაცრი რეგულაციები) ერთი ნაბიჯია!**

ერთი სიტყვით, თუ ხელისუფლებამ იგრძნო, რომ მისი რეიტინგი დღითი დღე ეცემა, ძალაუფლების შესანარჩუნებლად მას ქმედითი ბერკეტი გააჩნია მკაცრი რეგულაციების შემოღების — საგანგებო მდგომარეობისა და საყოველთაო კარანტინის სახით, რა პირობებშიც არჩევნების ჩატარება ლოგიკურად შეუძლებელია!

**აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მსოფლიოში არსებული უმძიმესი პერსპექტივის გათვალისწინებით სახელმწიფოს სრული პარალიზება და არჩევნების ჩატარება-არჩატარება მხოლოდ დღევანდელი ხელისუფლების ნებაზე არ არის დამოკიდებული - გააჩნია, როგორი სიგნალი და დირექტივები მოვა „ძლიერთა ამა ქვეყნისათა" მხრიდან და ზოგადად, რა შედეგით დასრულდება კარს მომდგარი ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნები.**

დიახ, გვინდა, არ გვინდა, ჩვენც სამყაროს ნაწილი ვართ და იძულებულნი ვხდებით ე.წ. „მსოფლიო წესრიგს" დავემორჩილოთ, მით უმეტეს მაშინ, როცა საკუთარ, ეროვნულ ფესვებზე ამოზრდილი ხელისუფლება არ გვყავს!!!

* * *

ამ ფონზე აბსურდად მეჩვენება იმაზე კამათი, რა შედეგს დადებს მომავალ არჩევნებში **„ნაციონალური მოძრაობა"** ან თეთრ რაშზე ამხედრებული პრეზიდენტყოფილი — **მიხეილ ყველაფრისმკადრებელი...** ტრიუმფით შემოაბიჯებს თუ არა ის საქართველოში. ან, თუნდაც, რამდენ პროცენტს აიღებს **„მარშალის გეგმით"** შეიარაღებული, უმრავლესობის თვალში ურეიტინგო **„ლელო"**. აიყოლიებს თუ არა სოციალური დემაგოგიით დაზომბირებულ ამომრჩეველს **„ლეიბორისტული პარტია"**, გახდება თუ არა **„მთავარი ოპოზიცია"** რუსეთუმედ მონათლული, **„ქართული ოცნების"** სატელიტად აღიარებული **„პატრიოტთა ალიანსი"**. და ბოლოს: გახდება თუ არა აუცილებელი კოალიციური პარლამენტის ფორმირება და შესაბამისად, კოალიციური მთავრობის შექმნა.

ეს ყველაფერი მირაჟია იმასთან შედარებით, რა პერსპექტივაც შეიძლება გაუჩნდეს ქვეყანას უახლოეს მომავალში!!!

* * *

**რატომ გვიხატავ ასეთ მძიმე მომავალს?! — ჩვენ ხომ წმინდა მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ვართ?!** — იკითხავს მავანი.

დიახ, ჩვენ გვასწავლიან, რომ საქართველოს გამორჩეული მისია აქვს, საქართველო წმინდა მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და მისი მადლიანი კალთა იფარავს! თუმცა, ყოველთვის სხვის მოიმედეობას შეჩვეულნი, ერთხელაც არ დავფიქრებულვართ, რომ ჩვენც ჩვენი ეროვნული მისია გვაქვს და უფლის წყალობას იმისდა მიხედვით უნდა ველოდოთ, როგორც გავირჯებით!

აქსიომაა ისიც, როცა გამორჩეული მისია გაქვს, მეტიც მოგეთხოვება!

* * *

**დემაგოგიურ, პროვინციულ ლოზუნგად აღვიქვამ მოწოდებას: „არც ნაცი, არც ქოცი"**. ჯერ ერთი, ეს არარეალურია, მეორეც, საზოგადოებამ არაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ამ ორი პოლიტმონსტრისთვის რეალური პოლიტიკური ძალა დაეპირისპირებინა — დღეს ჩვენი ყველაზე დიდი მტერი არა „ნაცმოძრაობა" ან სხვა პოლიტიკური პარტიაა, არამედ, ის, რომ დღემდე ვერ ვახერხებთ სახელმწიფოს ინტერესების გარშემო ერთ მუშტად გაერთიანებას, ურომლისოდაც ერის მომავალი არა მარტო ბუნდოვანია...



**ზაურ ნაჭყებია,**
**პუბლიცისტი**

**P.S.**

**კითხვაზე: ქვეყანა ვიღაცამ ხომ უნდა მართოს, ვუპასუხებ: ქვეყანა ხალხის წიაღიდან აღმოცენებულმა ძალამ უნდა მართოს, მაგრამ სად არის ხალხი?!**




# როცა საქართველოს პროკურატურას თვით ამერიკელებიც კი ემადლიერებიან...

**აშშ-ის კომპეტენტურმა უწყებებმა საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს წარმატებული თანამშრომლობისთვის და საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში აღმოჩენილი დახმარებისთვის მადლობა გადაუხადეს.**

აშშ-ის სამხრეთ კალიფორნიის რაიონის პროკურატურა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ქართველი პარტნიორების, მათ შორის საქართველოს გენერალური პროკურატურის, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის, ისნის პოლიციის დეპარტამენტისა და ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის მიერ გაწეულ დახმარებას.

აშშ-ს კომპეტენტური ორგანოების თხოვნის საფუძველზე, სამართალდამცველებმა 2020 წლის 22 სექტემბერს, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში კანადის მოქალაქე მ.პ. დააკავეს.

მ.პ. აშშ-ის სამართალდამცავი ორგანოების მიერ აშშ-ის წინააღმდეგ განხორციელებული თაღლითობის ბრალდებისთვის, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით იძებნებოდა. მ.პ.-ს დაკავების ბრძანება აშშ-ის სამხრეთ კალიფორნიის საოლქო სასამართლოს მიერ არის გამოცემული.

მ.პ.-ს და მისი თანამონაწილის უკანონო ქმედების შედეგად, რაც გამოიხატა მათ დაქვემდებარებაში მყოფი კომპანიის მიერ შეუსაბამო ხარისხის სამშენებლო მასალის გამოყენებაში და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაყალბებაში, აფრიკის რეგიონში არსებული აშშ-ის რამდენიმე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული ობიექტი უხარისხობის გამო დაინგრა.

საქართველოს პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით, მ.პ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია საექსტრადიციო პატიმრობა და ამჟამად მისი აშშ-ში ექსტრადიციის საკითხი განიხილება.

# არც სხვისი გვინდა, არც ჩვენსას დავთმობთ!..

**სრულიად აზერბაიჯანელი ხალხის პოზიციის გამომხატველ ბრძნულ გამოთქმაში, რომელიც ჩვენი დროის დიდ პოლიტიკურ მოღვაწეს, საერთო ეროვნულ ლიდერ ჰეიდარ ალიევს ეკუთვნის, ნათქვამია: „განურჩევლად რელიგიური კუთვნილებისა, ადამიანებმა პატივი უნდა სცენ სხვა ხალხების კულტურას, რწმენას, ზნეობრივ ღირებულებებს. ჩვენ, აზერბაიჯანელები ვამაყობთ ჩვენი ისლამური რელიგიით, ამავე დროს სხვა რელიგიების მიმართ არასდროს გვქონია ნეგატიური განწყობა, არ გვქონია მტრული დამოკიდებულება, გენოციდები არ მოგვიწყვია, არც არასდროს არავისთვის დაგვიძალებია ჩვენი რელიგიის მიღება.“**

**ამ სიტყვების სამართლიანობას ადასტურებს ჩვენი სახელმწიფოს განვითარების ისტორია. აქ ყოველთვის და ნებისმიერ ეპოქაში არა მარტო ეროვნული დისკრიმინაცია ყოფილა, არამედ, პირიქით, ყოველთვის მეგობრული ატმოსფერო, სხვადასხვა ეროვნების ხალხებს შორის ურთიერთპატივისცემა და ურთიერთგაგება, ჰუმანიზმი და ადამიანთა სიყვარული მეფობდა - ეს არის ნამდვილი სახე აზერბაიჯანის. აზერბაიჯანი თავის სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს ყოველთვის აშენებდა და აშენებს ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთშეთანხმების პრინციპებზე.**



## აბიკ ჩარუხჩევი: საქართველოს ებრაული თემის ხელმძღვანელი აზერბაიჯანში, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

ისტორიას გადავხედოთ: 1993 წლის 15 ივნისს, როდესაც ჰეიდარ ალიევი ხელისუფლებაში დაბრუნდა, ქვეყანაში საკმაოდ რთული ვითარება იყო. ლიდერი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სომხეთ-აზერბაიჯანის, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარება მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას, სადაც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო მნიშვნელოვანი საშინაო და საგარეო პოლიტიკის ფაქტორები. ეს მოიცავს სოციალურ-პოლიტიკური მდგრადობის უზრუნველყოფას, ბრძოლისუნარიანი რეგულარული არმიის შექმნა-განვითარებას, სახელმწიფო ინსტიტუტების რეორგანიზაციასა და მათი ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფას, ეკონომიკის აღდგენას, ძირეული მმართველობითი რეფორმების გატარებას, სტრატეგიული სანავთობო ხელშეკრულებების გაფორმებას, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის განვითარებას მომავალი ათწლეულების მანძილზე და შედეგს — ერის გაერთიანებას საერთო იდეოლოგიის — აზერბაიჯანელობის გარშემო ისახავდა მიზნად. 1994 წლის 12 მაისს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას მოეწერა ხელი. მანამდე სომხეთის შეიარაღებული ძალების მხრიდან ოკუპირებულ იქნა აზერბაიჯანის რესპუბლიკის 20% ტერიტორია. სომხეთ-აზერბაიჯანის მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის შედეგად 1 მილიონზე მეტი აზერბაიჯანელი დევნილად იქცა, 20 ათასი კაცი დაიღუპა. საბრძოლო მოქმედებების დროს დასახიჩრდა და დაინვალიდდა 50 ათასი კაცი. ყარაბაღის ბრძოლებში აზერბაიჯანის მოქალაქე ებრაელებიც მონაწილეობდნენ. ჩვენ ყოველთვის ვიზიარებთ აზერბაიჯანის საერთო ეროვნულ მწუხარებას და მისი წარმატება გვიხარია. აზერბაიჯანში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფები და ეროვნული უმცირესობები, აგრეთვე ებრაული თემი მსოფლიო საზოგადოებას ამცნობს, რომ ყოველთვის უჭერს მხარს აზერბაიჯანელი ხალხის სამართლიან ხმას.



ჩვენ, ქართველი ებრაელები საუკუნეების მანძილზე დევნის შემდეგ საქართველოში, ქალაქ ახალციხეში დავსახლდით. ჩვენი გვარიც ამ ტერიტორიაზე არსებული მთის მდინარე ჩორუხის სახელიდან მომდინარეობს. სინამდვილეში ჩვენი წინაპრები ჩარუხჩიშვილები არიან. პაპაჩემი ილია ამ მხარეში მიწის დიდი მესაკუთრე გახლდათ. ვორონცოვ-დაშკოვის მხრიდან XIX საუკუნის 80-იან წლებში სომხების ამ რეგიონში ჩასახლებისას გუბერნატორმა ქართველებისა და ებრაელების მიწის ნაკვეთების ჩამორთმევისა და სომხებისთვის გადაცემის გადაწყვიტელება მიიღო. ჩვენს საოჯახო არქივში ინახება დოკუმენტები სასამართლო პროცესებზე პაპაჩემსა და სომხებს შორის დავის შესახებ. აღნიშნულ დოკუმენტებზე ვორონცოვის ბეჭედიცაა დასმული.

შემდეგ პაპამ აზერბაიჯანს შეაფარა თავი. თითოეულ ქართველ ებრაელს შეუძლია დარწმუნებით თქვას, რომ ეს მიწა-წყალი ქართველი ხალხის ისტორიული მიწაა და სომხებს ჯავახეთში არასოდეს უცხოვრიათ. თურქეთში განვითარებული ცნობილი მოვლენების შემდეგ, რუსეთის მეფემ ხელი შეუწყო სომხების ჩამოსახლებას ამ მხარეში. ისინიც აღნიშნულ ტერიტორიაზე კედლებში, მიწაში სომხურ წარწერიან ქვებს მალავდნენ, შემდეგ კი სააშკარაოზე გამოჰქონდათ და ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, ვითომ ამ მიწებზე სომხები უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ. ეს აბსურდია.

ილია ჭავჭავაძე წერდა: **„...სომხები ცდილობენ ბუდეების აშენებას ისეთ ადგილებში, სადაც მათ არასოდეს უცხოვრიათ და ცდილობენ ამაში ყველა დაარწმუნონ“. სომხების უმადურობით შეშფოთებული აკაკი წერეთელი კი იხსენებდა: „ქართველ მეფეებს სომხები ებრალებოდათ, ისინი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩაასახლეს სავაჭრო საქმიანობისთვის, მათ ქალაქებიც კი მისცეს. როდესაც ქართველები დაღლილ-დაქანცულები ომიდან შინ დაბრუნდნენ, გაკვირვებულებმა ნახეს, რომ მათი სახლები სომხების მხრიდან მითვისებული იყო, რომლებიც „ძმად“ მიაჩნდათ. ნაცვლად იმისა, რომ ბოდიში მოეხადათ, წივილ-კივილს მართავდნენ: „თქვენ ვინ ხართ, საიდან მოხვედით? თქვენ აქ როდის ცხოვრობდით? ეს მიწები ყოველთვის ჩვენი იყო!“ მტკიცებულებად ქართულ ეკლესიებს, ტაძრებს იშველიებდნენ. მანდ კი ქართული წარწერები სომხურით ჰქონდათ ჩანაცვლებული“.**

ყოველივე ამის თქმით, მსურს ძირითად სათქმელზე გადავიდე. სომხეთის პრემიერ-მინისტრის ნიკოლ ფაშინიანის ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე ბოლოდროინდელმა პრეტენზიულმა განცხადებამ და გაზიარებამ, რომ ვითომ სამცხე-ჯავახეთის (ჯავახკი) მხარე სომხების საკუთრება ყოფილიყოს, დიდი აღშფოთება და რისხვა გამოიწვია როგორც საქართველოს, ასევე ჩვენს ქართველ ებრაულ საზოგადოებაში.

ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ჰუმანიტარული შეთანხმების შემდეგ, სომხეთის შეიარაღებულმა ძალებმა 11 ოქტომბრის ღამეს აზერბაიჯანის რესპუბლიკის სიდიდით მეორე ქალაქ განჯის ცენტრალურ ნაწილში მდებარე მრავალსართულიან კორპუსს ცეცხლი გაუხსნეს, რის შედეგადაც დაიღუპა 10 მშვიდობიანი ადამიანი, დაშავდა 34, მათ შორის 16 ქალბატონი და 6 არასრულწლოვანი. ასევე, დაზიანდა 10-ზე მეტი მრავალბინიანი კორპუსი და 100-ზე მეტი სხვადასხვა დანიშნულების ობიექტი. ეს იყო კიდევ ერთი ნათელი დასტური ოკუპანტი ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის ვანდალიზმისა და ბარბაროსობის.

სომხეთის მხრიდან აზერბაიჯანის ქალაქ განჯის დაბომბვა ჟენევის კონვენციის უხეში დარღვევაა. აღნიშნული კონვენციის თანახმად, აკრძალულია ნებისმიერი სამხედრო ოპერაციის ჩატარება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლეს. საომარი ოპერაციების დროს მშვიდობიან მოსახლეობაზე სამხედრო დარტყმების განხორციელება სასტიკად აკრძალულია.

მთელი მსოფლიო კიდევ ერთხელ გახდა მოწმე იმისა, რომ სომხეთი ტერორისტულ პოლიტიკას სახელმწიფო დონეზე აწარმოებს. მტერმა, რომელიც ამგვარი დანაშაულებრივი ქმედებებით ცდილობდა ჩვენი ხალხის ურყევი ნების გატეხვას, ვერ მიაღწია მიზანს, რადგან ჩვენი ქვეყნის ყოველი მოქალაქე ენდობა უმაღლეს მთავარსარდალს, ჩვენს არმიას და იგი დარწმუნებულია, რომ თავდამსხმელი პასუხს აგებს ჩადენილი დანაშაულისთვის!

ჩვენ მადლობას ვუხდით ჩვენს პატივცემულ პრეზიდენტს და მის ერთგულ მრჩევლებს სიბრძნის, ყველაფრის აწონ-დაწონვისა და დროული „დიახ“ და „არა“ პასუხის გაცემისთვის, რთულ ვითარებაში სიმტკიცის გამოვლენის გამო. ჩვენ ძალიან ამაყები ვართ, როცა ვისმენთ ჩვენი უმაღლესი მთავარსარდლის, ბ-ნ ილჰამ ალიევის გამოსვლებს. ის არის გამოჩენილი პოლიტიკოსი, რომელსაც განსაკუთრებული ნიჭი აქვს საკუთარი შეხედულებების თავისუფლად გამოხატვის, რომელიც მოვლენებში ღრმად ერკვევა, მტკიცებულებებზე დაყრდნობით სწორად საზღვრავს საჭირო დროის დადგომის სიზუსტეს და ეს მაშინ, როდესაც ყველაფერი რთული პროცესების ფონზე ხდება.

**ღმერთი იყოს ჩვენი მიწის, მისი ღირსეული ვაჟიშვილებისა და ქალიშვილების მფარველი.**

**ყარაბაღი აზერბაიჯანია და... ძახილის ნიშანი!“ — სხვა გზა არ არსებობს!!!**

# ერთობლივი ლოცვა მშვიდობიანი კავკასიისთვის



**„თბილისში სომხეთ-აზერბაიჯანის ომის დაწყებიდან მეთვრამეტე დღეს მშვიდობის კათედრალმა გადაიხადა ერთობლივი ლოცვა მშვიდობისათვის კავკასიაში. ლოცვას სხვადასხვა აღმსარებლობის სასულიერო პირებთან ერთად ესწრებოდნენ სომეხი და აზერბაიჯანელი სასულიერო პირები და მათი მრევლი. საკითხავები იქნა წაკითხული სახარებიდან და ყურანიდან და ასევე ლოცვები აღვლენილ იქნა ქართულ, სომხურ, იეზიდურსა და არაბულ ენებზე. ლოცვას მეუფე მალხაზ სონღულაშვილთან ერთად უძღვებოდნენ შეიხი მირტაგ ასადოვი და მამა ნარეკ ქუშიანი.**

**სომეხმა და აზერბაიჯანელმა სასულიერო პირებმა მადლობა გადაუხადეს მშვიდობის კათედრალს სამშვიდობო ინიციატივისთვის. შეხვედრამ მშვიდობისა და შერიგების სულისკვეთებით ჩაიარა. სომეხმა და აზერბაიჯანელმა სასულიერო პირებმა გაცვალეს მშვიდობისა და შერიგების სულისკვეთებით განმსჭვალული სიტყვები“,** — ვკითხულობთ განცხადებაში.

№ 135-136. შაბათი-ორშაბათი, 17-19 ოქტომბერი, 2020 წელი.

გურამ გოგიაშვილი

# ჩემი გიორგი ლეონიძე,

## ვინც ქართული ენის ნაყოფიერ ხოდაბუნში, როგორც გულთმისანმა გუთნისდედამ, მარადიული ღალიანი ორნატი გათერძა



ვასო გოძიაშვილთან ერთად, პატარძეულში მისი ბავშვობის დროინდელ თუთის ხესთან.

**გოგლას** განსაკუთრებით ესულფონებოდა რუსული ლირიკა, მეტადრე ფეტსა და ტიუტჩევს მიაგებდა პატივს. მაისის დამდეგს, ჯერ ისევ ცივი ჟუჟუნა წვიმები რომ დაიწყებოდა, ტუტჩევის ოთხ ტაეპს დაიბუხუნებდა ხოლმე.

„Люблю грозу
в начале мая,
Когда весенный
первий гром,
Как бы резвясь
и играя,
Грохочет в небе
голубом.“

და იქვე გააქართულებდა:

**„მიყვარს ქუხილი**
**ვარდობისთვეში,**
**ღრუბლებში ელვის**
**კლაკნა და გრეხა,**
**როს ჭექა-ქუხილს**
**მოჰყვება თქეში**
**და ცა ჩამოვა**
**მიწაზე ფეხად...“**

უცხოელთაგან ხშირად ახსენებდა ედგარ პოს, ბერნსსა და კიპლინგს. მახსოვს, რა აღფრთოვანებული იყო ჩვენებური, აჭარელი მიხეილ გორგილაძის პოეზიით, მსუყე ჩაქვირითებული სიტყვა აქვსო, ზღვისპირელი კია, მაგრამ ზოგ-ზოგსავით წვეთ წყალს არ ურევს თავის ლექსშიო... მიხეილ ქვლივიძე და შოთა ნიშნიანიძე ჩემს გემოვნებას ნამდვილად ეხმიანებიანო. შოთა ფრიად ამართლებს თავის სახელსო... მაინცადამაინც პატივს არა სცემდა ვერლიბრს, თეთრ ლექსს, ზოგიერთის ხელში ეს უკვე პოეზია კი არა, ლექსის ეროზიაოო. თეთრ ლექსს დიდი სათქმელი და დიდივე ოსტატობა უნდაო... მაგალითისთვის ილია ჭავჭავაძის „მუშა ბოქულაძეს“ იშველიებდა...

**დიდთან** დიდიო და პატარასთან პატარაო, გიორგი ლეონიძეზე იყო ზედგამოჭრილი. ხვალ თორმეტ საათზე მანქანით გამოგივლი, შენი გოგოები წამოიყვანე წყნეთში, ჩემს აგარაკზე, ჩემი შვილიშვილები გავაცნოთო... თამრიკო არ წამოგვყვა, ეკამ, როგორც კახელები იტყვიან, ალახმალახად ჩაირბინა კიბეები და მანქანაში წინ ჩაჯდა. გოგლა მოეფერა და კალთაში ჩაისვა. ავედით წყნეთში, აბა, როგორ მოგწონს, გოგოცუნი, ჩვენი აგარაკიო, გოგლამ. ეკამ გაიხედგამოიხედა და, **ვითომ სოფელიაო.** უყურე ამას, ალბათ, დედულეთი გაახსენდა ან თქვენი ზემო ხანდაკიო, გოგლამ, და შუბლზე აკოცა. ჩემი ქალიშვილი დღესაც ამაყობს იმ ამბორით და ყოველ დეკემბერს, სანამ ამერიკაში წავიდოდა ქმარ-შვილით, წითელი ვარდი აჰქონდა მთაწმინდაზე, გოგლას წმიდათაწმიდა საგოდისზე...

ისიც მახსოვს, ვიღაცას, არ ვიცი, ვის, რომელიღაც საყდრის დასათვალიერებლად წაეყვანა წყნეთის შემოგარენში, მაგრამ საყდარი დაკეტილი დახვედრიათ. იქიდან დაბრუნებულ ეკასთვის გოგლას რომ უკითხავს, მოგეწონა საყდარიო? არა, **ღმერთი სახლში არ იყოო,** მიუგია ეკას... არა უშავს რა, მეორედ რომ მიხვალ, აუცილებლად შინ დაგხვდებაო... თავზე ხელი გადაუსვამს, მოჰფერებია გოგლა.

**გოგლას** პოეზიის ჭეშმარიტი ტრფიალი იყო იმხანად გამომცემლობა „ნაკადულის“ დირექტორი, ჩუმად მოხმაურე ხალასი პოეტი ანზორ აბულაშვილი, რომელსაც არცთუ ცოტა კარგა ლექსი ჰქონდა, მაგრამ დარჩა როგორც „დედისერთა ლექსის“ ავტორი („წუხელის ბიჭი დაბადებულა“). აი, სწორედ ანზორმა გამოსცა 2008 წელს გოგლას თავისებური „რჩეული“ (ლექსები, პოემა, „ნატვრის ხე“, „ამბავი ესტატე ლაფაჩისა“, „პატარა ტამალია“), რაც, ბუნებრივია, როგორც მეგობარს, წარწერით გადმომცა. ეს „რჩეული“ ყველა სხვა გამოცემისგან იმით განსხვავდება, რომ ახლავს პროფესორ ელენე კოშორიძის მიერ შედგენილი ძირითადად „ნატვრის ხის“ სიტყვისკონა და ამ სიტყვისკონისთვის დართული წინათქმა, სადაც ნათქვამია, რომ **„გიორგი ლეონიძეს „შეგნებული, გააზრებული დამოკიდებულება ჰქონდა ენასთან“** (ბ. ჯორბენაძე); ამიტომ მის ნაწარმოებებში **„სიმძიმის ცენტრი პოეტურ სიტყვაზეა გადატანილი“** (ს. ცაიშვილი). ლეონიძე სიტყვას ბიბლიური სიბრძნით აღიქვამდაო, წერს ქალბატონი ელენე, პოეტს სწამდა, რომ „სიტყვას ძალა“ აქვს, რომ **„ავი სიტყვა ზამთარია, ტკბილი სიტყვა – ზაფხულიო“**... თვითონ აკი მუხლადი, ბედაური, მაძღარი სიტყვით წერდაო... ამ წინათქმაში ისიც ნათქვამია, გიორგი ლეონიძე სუყოველ სიტყვას თუ სიტყვათშემოქმედებისას დარაჯად ედგა და ამბობდაო:

**„მე სიტყვას ფიზიკურად განვიცდი, ყნოსვით ვიგებ, რომელია უსისხლო, მიმჭკნარი. არის სიტყვები, რომლებიც არასოდეს არ მიხმარია. ეს სიტყვები არ მიყვარან და ვერც იპოვით ჩემს ლექსებშიო...“** ეფრემ მცირის გამოთქმას თუ მოვიმარჯვებთ, გოგლას სუყოველ სიტყვას აფრა აქვს, აფრიანია, რომელსაც ქართველი ადამიანის სუნთქვა ამოძრავებინებს ათასწლეულთა წიაღში მცურავ ჩვენი ეროვნულობის ხომალდს... „ოლეს“ ავტორს ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი ის აზრი, რომ **„ყოველი საქმე, ძალისაებრ ქმნილი, სათნო არს...“**

ცალკე უნდა ითქვას „ნატვრის ხის“ დაწერის გამო ხუტა ბერულავას დამსახურებაზე. ხუტა არავისზე ნაკლები პოეტი არ იყო შედარებით ახალგაზრდათაგან. ზოგ იმის ლექსს მღეროდნენ კიდეც... მაგრამ პირში მთქმელი კაცი იყო, თავის მიმართ ყადავახად ნათქვამ სიტყვას უპასუხოდ არ დატოვებდა, და იქნებ ამიტომაც პოეტთა ამქარს მაინცდამაინც თვალში არ მოსდიოდა. ზურგს უკან აუგსაც ამბობდნენ. არადა, პოეტობის გარდა, საზოგადო მოღვაწეობაშიც არვის არ უდებდა ტოლს. მთელი თავისი ცხოვრება ან რომელიმე გამოცემის რედაქტორი იყო, ან რომელსამე გამომცემლობას ედგა სათავეში. მაშინ „ნაკადულის“ დირექტორი იყო... ერთხელ გოგლა ჰონორარის წინასწარ ასაღებად მივიდა. ბატონო გიორგი, შენ ერთხელ თქვი, ჩემი ბავშვობის მოგონებები უნდა დავწეროო, მოდი, ჰონორარი მაგ წიგნის ანგარიშზე გამოვწეროთო. რა ვქნა, ღალატი რომ გამოვიდესო? გოგლამ. ეგ არ გამოვაო, მიუგო ხუტა დირექტორმა, და, ბოლო-ბოლო, ხელშეკრულება დადეს...

გამოხდა ხანი. ხუტამ შეახსენა, ბატონო გიორგი, ნაწილი მაინც ჩაგვაბარეო. არა, სულ ერთად მინდა, რომ მოვიტანოო, წყნეთში გადავსოფლდი, ვარ გადაცხოვრებული, იქა ვმუშაობო. გავიდა გარკვეული დრო: გიორგი ბატონო, კომისია მოვიდა, მამოწმებენ, მგონი, დამიჭერენო. მერე მოსაკითხის მოტანა მოგიხდება ციხეშიო. რას ამბობ, კაცო, ცოტაც დამაცადე, მალე დავამთავრებო. ასე იყო თუ ისე, თუ არა ცხონებული ხუტა ბერულავა, ვაითუ ეს ჭეშმარიტად დიდი ქართული წიგნი, მართლაც სანატრელი და სანუკვარი „ნატვრის ხე“, არა თუ ვერ დაწერილიყო, და წარმოიდგინეთ ამ უამბრილიანტოდ ჩვენი მწერლობა!.. გოგლას სულ ის ადარდებდა და იმაზე ზრუნავდა, რომ **„ახალი ტექნოლოგიების ხანაში არ შემცირდეს ჩვენი ენა ქართული...“** სხვათა და სხვათა დაუდევრობით.

„ნატვრის ხე“ რომ თვალჩაუწვდენელი სიღრმის ჭეშმარიტად ეროვნული წიგნია, იქიდანაც ჩანს, რომ თენგიზ აბულაძემ ამავე სახელწოდებით მართლაც გენიალური ფილმი გადაიღო, რომლის სცენარიც ამავე წიგნის მიხედვით რევაზ ინანიშვილმა დაწერა. ფილმმა მსოფლიო მაყურებელს თვალცხადლივ აგრძნობინა უკეთილშობილესი ქართული სული...

**რახან** სიტყვა ამ მზისხივჩამდგარ წიგნსა და თავისებურ ახალ ქართულ სიტყვისკონაზე, ამ მართლაც ბრილიანტი წიგნის შექმნაში ხუტა ბერულავას ამაგზე ჩამოვარდა, უპრიანი იქნება, თუ აქვე გავიხსენებთ „ბელადის ბავშვობისა და ყრმობის“ შექმნის ამბავსაც... ერთხელ გიორგი ბატონს ვკითხე, რა მოხდა, როდის ჩაუჯექით ამ დიდებულ საგალობელს-მეთქი. მეც და კოწია გამსახურდიაც ლავრენტი ბერიამ წაგვაქეზა და შეგვაგულიანაო. ცხადია, მძიმე დრო იყო. ბოლშევიკებს ეჯერათ, რომ ახალ საზოგადოებას ქმნიდნენ და ცხოვრებასაც ახალს აშენებდნენ, ვინც ამ დიდ შექმნასა და შენებას იყვნენ შეჭიდებულნი, რა თქმა უნდა, იმ ავად გამძაფრებული დროის წინაშე ცოდვის ჩადენას ვერ გადაურჩნენო. რასაკვირველია, ლავრენტი ბერიაც გარკვეულწილად ცოდვიანი იყო, ხოლო ვინც ამ ახალი ცხოვრების აშენებას გულგრილად უყურებდა და, ცოტა არ იყოს, ხელსაც უშლიდაო, ის ავი დრო საბედისწეროდ წამოეუბედურათო... მაგრამ ამასთანავე ჭეშმარიტად დიდი სახელმწიფოებრივი აზროვნება ჰქონდაო. ბელადმა სწორედ ამიტომ შეამჩნია და ჯერ კიდევ ორმოცი წლისაც არ იყო, რომ მოსკოვში გადაიყვანაო... მართალია, თვითონ ბელადი თავისი ქების წინააღმდეგი ბრძანდებოდა, უამრავი მაგალითიდან თუნდაც ის ერთიც კმარა, ბულგაკოვს პიესა „ბათუმი“ რომ არ მოუწონა და სცენაზე დადგმის უფლებაც არ მისცაო, მაგრამ მე, როგორც იტყვიან, რესპუბლიკის თავკაცი მაინც თავზე მადგა და მაჩქარებდა „ბავშვობისა და ყრმობის“ დაწერასო... ერთხელ ისიც მიამბო, მოსკოვის ქუჩებში მალულად სეირნობისას ბელადს ბერიაც ხლებია. უცებ, ერთი ქსოვილების მაღაზიის წინ ბელადს მანქანა გაუჩერებინებია და უთქვამს – **„Мосткани“ პო გრუზინსკი ოჩენ ნეპორიადოჩნო ზვუჩიტო. ქართველებს რაღა მოწოდება უნდათო?!** და ლავრენტისთვის დაუვალებია ამ ნეპორიადოჩნოსტის გამოსწორებაო. მეორე დღესვე მოსკოვის ქსოვილების მაღაზიებს აბრად თურმე უკვე მარტო „ტკანი“ ეწერათო...

ამას მოაყოლა კიდევ ერთი სხვა ამბავიც, სერგო ქავთარაძის ნაამბობი:

1929 წელს ბელადი 50 წლისა გახდაო. ორჯონიკიძე გადაეკიდა, გინდა თუ არა, ფართოდ აღვნიშნოთო. ბელადს ვიწროდ გადაუწყვეტია აღნიშვნა. სტუმრების სიაც თავისივე ხელით შეუდგენიაო. რასაკვირველია, ორჯონიკიძეს ჰგონებია, რომ სუფრის თამადა თვითონ იქნებოდაო, მაგრამ იუბილარს თამადად სულ ახალგაზრდა, 30 წლის ლავრენტი დაუსახელებიაო. ყოჩაღი ახალგაზრდა კაცია, თუ პოლიტიკაში ვაწრთობთ, ბარემ ამ საქმეშიც გამოვჭედოთო. ახალგაზრდა თამადას ბელადთან ამ პირველი უშუალო შეხების დროს თავი მართლაც არ შეურცხვენია. აი, ამ დღიდან ჰყავდა ბელადს ლავრენტი თვალქვეშო...



**თუ** ზემოთ „ნატვრის ხეზე“ ჩამოვაგდეთ სიტყვა, ცოტა რამ კიდევ უნდა ვთქვა: ჩემი აზრით, ნამდვილად გადაჭარბებული არ გამომივა, თუ ვიტყვი, რომ რუსთაველის „ვეფხისტყაოსნისა“ და საბას „სიტყვისკონის“ შემდეგ, ქართული ენის გაუკვდავების მხრივ, გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხე“ მესამე ადგილზეა. ამიტომ არის დღეს და ასე იქნება მუდმივ, რომ „ნატვრის ხე“ ჭეშმარიტად ქართული ხალხური წიგნია... ეს აზრი ამომწურავად გამოხატა ჩემმა მეგობარმა, ჩინებულმა ლიტერატორმა, ჩინებულივე ლიტერატორის ძემ, ზაზა აბზიანიძემ, რომელმაც იშვიათი წინათქმა წაუმძღვარა თინათინ ლეონიძის მიერ შედგენილ, ხოლო ქართული წიგნის ამაგდარის კახმეგ კუდავას მიერ გამოცემულ („ინტელექტი“) გოგლას „100 ლექსს“... აქვე მოვიყვარგებ ზაზას დასკვნას: **„მთავარი გიორგი ლეონიძის პორტრეტში, იმის ბიოგრაფიაში, იმის სულიერ მემკვიდრეობაში ის ლექსებია, ის ნატვრის ხეა“, რომლის ჩრდილშიც კიდევ არაერთი ქართველი იგრძნობს მშობლიური ენის გემოსა და ლაზათს, დაინახავს იმ სოფელს, იმ ადამიანებს, იმ ურთიერთობებს, რომელთა კვალი ყველა ჩვენგანშია, სანამ ქართველები გვქვიაო“...**

**ძველი ჩანაწერიდან:** დროდადრო ლამის ყველა დონეზე გაისმის (ერთხელ უკვე გაისმოდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში), რომ ჩვენ ისეთ ენაზე ვლაპარაკობთ, რომელიც მარტო ჩვენ გვესმის, მსოფლიოში თითქმის არავინ არ იცის, არც მომავალი აქვს, ამიტომ სხვა უფრო დიდ ენას უნდა შევეკედლოთ, რაც ჩვენს ენას ნელ-ნელა მარტო შიდა მოხმარების ენად აქცევსო... გოგლა გაბრაზებული ამბობს, ასე, მგონი, ესკიმოსები და ნენცებიც არ ფიქრობენ თავიანთ ენებზეო. თვითონ გოგლას საუბარი მართლაც ერთ რამედ ღირს.

ლაპარაკში აუცილებლად ანდაზას, სიტყვის გამბარაქიანებულ კოსეს, ანუ სიტყვის მასალას რასმე გაურევდა. შეკაზმული სიტყვა-პასუხი ჰქონდა. იმისი ენა-პირის თითქოს თვითონ ხალხი უბნობდა. ზოგიერთი რამ ჩამიწერია სხვადასხვა დროს... დროის ყბა საბოლოოდ ყველას ერთნაირად ღეჭავსო, ამიტომ კაცმა კარგი საქმის ქმნა უნდა მოასწროსო. ბევრჯერ ისიც უთქვამს, რაღა გამხმარი ხე და რაღა ფუჭი სიტყვაო. ჩანჩქერთან მღერას აზრი არა აქვსო. ძაღლს ხორცი სესხად არ უნდა აჭამოო. მაძღარი კაცი ყრუაო. დიდი ცხოვრებისკენ ახალგაზრდობიდანვე უნდა გაიბილიკგზაწვრილოო. ბედს დავიტკივილებო... კაზმული სიტყვის მარაგი არ ელეოდა. პირდაპირ ხატოვან თქმათა მოარული „სიტყვისკონა“ იყო...

**ერთადერთი** თუ არა, ერთ-ერთი ყოვლადძალუმი გამოსამშვიდებელი სიტყვა, რაც ოდესმე კი წარმოთქმულა ან შეთხზულა **„ქართული ფონეტიკის ისედაც მგზნებარე ტემპერამენტით“** შეჯერებული, მგონი, ცხონებულ ლევან გოთუას ეკუთვნის. 1966 წლის 11 ივლისია, ის პირველი იყო, ვინც რედაქციაში არმაზიდან ამოვიდა, ჩვენი დიდი თხოვნის შემდეგ და იმედიანი ცრემლი ამოიტანა... მერე თავის დროზე კარგად ცნობილი ჟურნალისტი **თინათინ კობალაძე** დაწერს: **„ეს გამოსათხოვარი წერილია... მაშინ ბატონ ლევან გოთუას ვთხოვეთ, გიორგი ლეონიძის გარდაცვალებასთან დაკავშირებული რადიოგადაცემისთვის რაიმე დაეწერა... როგორც მოსალოდნელი იყო, წერილი ყველას მოეწონა და, რასაკვირველია, ეთერშიც გადაიცა...**

**(გაგრძელება იქნება)**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №115-117, 118-119, 126-134

# ლერი ალიმონაკს – საიუბილეო ძღვნად!..

**ლერი ალიმონაკი** – ეს სახელი და გვარი ჩემს ცხოვრებაში ორმოციოდე წლის წინ შემოვიდა ჩემი ორი უახლოესი მეგობრის წყალობით. ერთი ლუხუმ მიგრიაული გახლდათ, ძველი ნაძალადეველი, ასკეტური გამოხედვის, თითქოს მკაცრი და უკარება, ფეთქებადი და თანაც ზრდილობის განსახიერება. ახალგაზრდობის წლები, უფრო სწორად, სიჭაბუკისა, ციხეში ჰქონდა გატარებული, ჩემი აზრით და, მისი ბუნებიდან გამომდინარე, – უსამართლოდ. სწორედ მან მაჩუქა **ლაო-ძის „დაო დე ძინი“,** თბილი მოსაგონარი წარწერით, თან დაამატა, ციხეში დავიწყე ამის კითხვა და... ისე გამომიშვეს, ვერ მოვასწარი, ახლა შევხვდი „სახელგამში“ (მაშინ ასეთი წიგნის მაღაზიები არსებობდა) და ორი ცალი შევიძინე, ერთს გჩუქნიო. იმდროიდან მქონდა ჩვევა – სანამ უცხო რომანების წაკითხვას დავიწყებდი, პირველად მთარგმნელ-მგადმოენებელი უნდა მენახა, თითქოსდა ყველას ვიცნობდი და მათ გვარ-სახელს უნდა განვეწყვე ნაწარმოების წასაკითხად. **ლერი ალიმონაკი** უცხო იყო ოცი წლის ბიჭისთვის. დავიწყე და...დღესაც ვკითხულობ, თითქმის 40 წლის შემდეგ. კიდევ წავიკითხავ ამ საკაცობრიო მნიშვნელობის რელიგიურ-ფილოსოფიურ თხზულებასა თუ ძველი აღმოსავლეთის სიბრძნეს, დღეს რომ ყველაზე მეტად ჭრის.

ახალგაზრდა გარდაიცვალა ლუხუმი, ჩემს თვალში დიდი კაცი, რომელიც ციხის საკანში ლაო-ძის კითხულობდა და ვერ დასცალდა ბოლომდე ჩამთავრება – გაათავისუფლეს. არც მერე მიკითხავს ბოლომდე წაიკითხა თუ არა იმ ფორიაქა და შავბნელი 90-იანი წლების დასაწყისში. წაიკითხავდა, ალბათ... რატომ? – სულით ფილოსოფოსი იყო ჩემი მეგობარი.

მეორე ცნობილი ჟურნალისტი გივი თევზაძე გახლდათ. რედაქციაში ახალი დაწყებული მქონდა მუშაობა და თავისი სტუმარი გამაცნო, **ეს ლერი ალიმონაკია,** ჩემი მეგობარიო. ვგონებ, იმ დღიდან დავმეგობრდით კიდეც მე და ლერი-ბატონი. მაშინ უკვე წაკითხული მქონდა „კვირის წირვები“ და ახლაც ვერავინ გადამათქმევინებს ჩემს აზრს, რომ ასეთ დიდ ადამიანზე მიძღვნილი დიდი ნაწარმოები იშვიათად წამიკითხავს. ესეც ფილოსოფიაა, სულის ყივილი, რომელიც სულ უნდა იკითხო.

შესანიშნავმა მთარგმნელმა და დიდმა შემოქმედმა, სულ ახლახან გარდაცვლილმა დავით წერედიანმა ბრძანა, უფრო გაიხსენა – მირზა გელოვანის მოსაგონარ საღამოზე მწერალთა კავშირში გალაკტიონი დაგვიანებით მივიდაო, უმალ სიტყვა ითხოვა და ძალიან თბილად ისაუბრაო მირზას შემოქმედებაზე. დასასრულ, ახლაც თვალწინ მიდგასო, თავი მიაბრუნა, სიტყვა ველარ გააგრძელა და კინაღამ ატირდა – ვერ ვუპატრონეო... შემდეგ კათედრიდან ჩამოვიდა და სწრაფადვე გაუჩინარდაო.

ვერ ვუპატრონეო, უთქვამს დიდ გალაკტიონს, და არა – ვერ ვუპატრონეთო. უმალ თვალწინ დამიდგა ჩემი უფროსი მეგობარი ლერი ალიმონაკი. მან უპატრონა ტერენტის, ტერენტი გრანელს, უპატრონა და მერე როგორ... შვილი ვერ გადაუხდის მშობელ მამას ამაგს ისე, როგორც ბატონმა ლერიმ უჭირისუფლა დიდ პოეტს. რამდენჯერაც ტერენტის ლექსებს ვკითხულობ, იმდენჯერ თვალწინ წარმომიდგება – მიწურში, ნაბადში გახვეული, ცივ მიწაზე მწოლი, გაყვითლებული, გაფითრებული, შიშისგან თვალებჭერსმიმზირალი პოეტი, რომლის თავიც მკლავზე უსვენია ლერი ალიმონაკს და მის უკანასკნელ აღსარებას ისმენს. თუ მისტიკაში გადავვარდებით, ასეა, სხვაგვარად არც შეიძლება.

მეოთხედი საუკუნე, 1934 წლიდან ვიდრე 1961 წლამდე, ტერენტი გრანელის ირგვლივ დუმილი იყო გამეფებული. მისი გარდაცვალების გამო არათუ ნეკროლოგი, ქრონიკაც კი არ გამოქვეყნებულა. „არამიანცისეული“ საავადმყოფოს მორგიდან რამდენიმე მეგობარმა გადაასვენა პოეტი პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. გადიოდა წლები, არავინ ახსენებდა გიჟის დამღით დაშანთულ, საგიჟეში გამომწყვდეულ უმანკო სულის პოეტს. არავინ ახსენებდა, გარდა თითო-ოროლა გულდათუთქული მეგობრისა და თაყვანისმცემლისა, ისინიც მალულად, შიშით, ჩურჩულით. გავიდა ხანი, თავდადებულ კაცთა წყალობით (ასე იხსენებს იმათ ლერი ალიმონაკი) 1961 წელს პირველად, საბჭოთა ეპოქაში, გამოიცა ტერენტი გრანელის ლექსების წიგნი, რომლის სულისჩამდგმელიც ელიზბარ უბილავა გახლდათ. აქ გაჩერება არ შეიძლებოდა, და გამოჩნდა ლერი ალიმონაკი, კაცი, რომელსაც ამ ტვირთის ზიდვა ღმერთმა დააკისრა. სწორედ ლერი ალიმონაკს ერგო ბედად პოეტის სიკვდილისშემდგომ სიცოცხლეს რომ წასძღოლოდა, ბედგანსამზღვრელად დაუკავშირდა პოეტის ცხოვრებას. ეს გზა იყო რთული, ეკლიანი, მძიმე, ეს გზა იყო გოლგოთა... რწმენასთან ერთად სიმამაცესაც მოითხოვდა. გაჩნდა **„კვირის წირვები“**, შემდგომ შეკრიბა ყველასგან გარიყულ პოეტზე მოგონებანი, ცუდიც, კარგიც, მავანთა მიერ უკვე თავის ქებად მიჩნეულიც – ტერენტის ვიცნობდითო, ტერენტის ვმფარველობდითო, მაგრამ შთამომავლობისთვის მაინც ყურადსაღებნი, შეკრიბა და პოეტზე გამოცემულ წიგნში მოუყარა თავი, თავად კი, როგორც



# „არაფრობის წიაღიდან“ „კვირის წირვებამდე“




თავმდაბალ ადამიანთ სჩვევიათ, მცირე წინასიტყვაობა დაურთო. ახლა, როცა ტერენტი გრანელის სახელი და შემოქმედება დიდების ზენიტშია, სწორედაც რომ ლერი ალიმონაკის დამსახურებაა. მას თამამად შეუძლია თქმა – მე ვუპატრონეო ტერენტის!

* * *

**ლერი ალიმონაკი** განსაკუთრებული ნიშნით შემოვიდა ქართულ მწერლობაში – ძიება, ჩხრეკა ყოველივე დავიწყებულისა და დაკარგულისა, თუნდაც უარყოფილისა. სადღაც მეძველმანის მიერ ნაგავში მოსროლილი ნივთის მპოვნელია, რომლის ფასიც თავად იცის ლერი ალიმონაკმა, ის უნდა გაწმინდოს, გამოამზეუროს, თაროზე შემოდოს და სხვას მისცეს მისით დატკბობის საშუალება. ასევე ამოჰქონდა არქივებიდან მტვერმიყრილი სახეები, უბრუნებდა იმათ ძველ იერსახეს და განახლებულს, ახალსიცოცხლენაჩუქართ უძღვნიდა ხალხს.

გავიხსენოთ ვარინკა წერეთელი, XIX-XX საუკუნეთა დიდებული ბანოვანი, დიდი აკაკის „სულიკოს“ მუსიკის ენაზე ამხმიანებელი, ჰანგი, რომელსაც თანამედროვე ენაზე „მსოფლიო ჰიტი“ შეიძლება, რომ ვუწოდოთ. მსოფლიო ხალხების მომაჯადოებელი და ყველასთვის თითქოსდა მშობლიურად ქცეული „სულიკოს“ ჰანგის ავტორი ხომ უცნობი იყო – ხალხურად მიიჩნევდნენ, ისე იმერეთში რომ ჩამოამღერებდნენ „ბანტიან გიტარაზე“ და ყველა ქალაქში სხვადასხვა ინტერპრეტაციით მღეროდნენ – ქუთაისურად, ზესტაფონურად, ხონურად და შემდეგ უკვე თბილისურ სალონებში თბილის-ქალაქურად. მაგრამ მაინც ხალხური ერქმეოდა მანამ, სანამ ლერი ალიმონაკი არ მოძებნიდა, არ მოჩხრეკდა უამრავ არქივსა და წიგნთსაცავს, გინდა საწერეთლო-სამაჭავარიანოში, ზემო იმერეთსა თუ თბილისში და... 1970 წელს გამომცემლობა „ხელოვნება“ მკითხველს არ წარუდგენდა წიგნად აკინძულ უდიდესი შრომისა და ძიების შედეგს. სწორედ ამ წიგნის გამოსვლის შემდეგ აღიარებენ ვარინკა წერეთელს „სულიკოს“ ავტორად.

* * *

**განსაკუთრებულ** ყურადღებას იპყრობდა 70-იან წლებში ლერი ალიმონაკის კრიტიკული წერილები, ანუ მხატვრული კრიტიკა თავისი თაობის პოეტებზე, ახლა უკვე ცნობილ შემოქმედებზე. შემდგომ, როდესაც ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მოხდა რადიკალური ფერისცვალება, დრო შეიცვალა და სხვა განზომილებაში მოგვიწია ცხოვრება, მწერალმაც დროის შესაბამისად შეიცვალა ამპლუა, პუბლიცისტური წერილებისა და ესეების წერას მიჰყო ხელი. თავისი ხასიათიდან გამომდინარე, უფრო მასშტაბურად, სამშობლოს ტრაგიკულ ხვედრში გამოძერწილი განცდებით, თვალსაჩინოდ დაგვანახა დღევანდელობა. ამ ესეების უმეტესობა კარგადაა ნაცნობი ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის, რამეთუ გვქონდა ბედნიერება პირველგამომცემლებისა, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებიდან მიგვეწოდებინა მათთვის შემოქმედის ნააზრევი. შემდგომში ისინი პატარა ბროშურების სახითაც გამოიცა.

* * *

**გულზე** ხელი დავიდოთ და წრფელად ვაღიაროთ – რამდენი კაცი იცნობდა საქართველოში ლაო-ძისა და მის **„დაო დე ძინს“,** რამდენ კაცს სმენოდა **„უპანიშადები“,** ეს საკაცობრიო მნიშვნელობის ფილოსოფიურ-რელიგიური თხზულებანი, რომელთაც დიდმა გერმანელმა მწერალმა და მოაზროვნემ ჰერმან ჰესემ მისსავე შედგენილ მსოფლიო იდეალური ბიბლიოთეკის პირველ ათეულში მეორე და მესამე ადგილები მიუჩინა „ბიბლიის“ შემდეგ.

პატარა გადახვევის შემდგომ კვლავ დავით წერედიანს შევახსენებ მკითხველს, რომელმაც უკვდავი „ფაუსტის“ თარგმნას თითქმის ნახევარი საუკუნე შესწირა. თავად ვარ მხილველი, როგორ მუშაობდა შესანიშნავი მთარგმნელი და პუბლიცისტი გურამ გოგიაშვილი რაბლესეულ „გარგანტუასა და პანტაგრუელზე“ (რომ არაფერი ვთქვა პავიჩის, კოელიოსა და სხვა კლასიკოსთა გადმოენებაზე). 30 წელი შევალიეო – თავადვე ბრძანა და დაიდო შედევრი. ლერი ალიმონაკმა თხუთმეტი წლის კატორღული შრომა შეალია ამ თხზულებათა თარგმნას. ლაო-ძის ტერმინი რომ მოვიშველიოთ „არაფრობის წიაღიდან“ ამოზიდა ეს ხელთუქმნელი ძეგლები და უბოძა ქართველ ხალხს. თავად ბატონი ლერი იხსენებს აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის ნათქვამს: **„დღეს ამ თხზულებათა თარგმნა და გამოცემა გმირობის ტოლფასიაო!“**

ჩვენს ყოველდღიურობაში, როდესაც თითქოს დრომ დაკარგა თავისი არსი, „დაო დე ძინისა“ და „უპანიშადების“ შემეცნება და იმ ღვაწლის შეფასება, რაც ლერი ალიმონაკმა გასწია, იქნებ ვერც მოხერხდეს, მაგრამ უნდა ვიქონიოთ იმედი – ეს დრო მოვა, რამეთუ თუ დიდ აღმოსავლელ ფილოსოფოსს ლაო-ძის დავესესხებით – **„ო, რა გვიანია სიტყვა-ბრძნული და დაუნჯებული“**.

ყველაფერი, რასაც ლერი ალიმონაკის ხელი შეეხო, მისეულია, ყველასგან განსხვავებული, მისტიკურ კვეთაში გატარებული, ოდისევსივით მოხეტიალე სამ განზომილებაში, ოდინდელი ყოფიერებიდან მისი შეუცნობი ფერისცვალება, განახლება, აღდგომა, კვლავ სადღაც მიბრუნება, საწყისთან დაბრუნება. ამგვარი ეზოთერული სულისკვეთებითაა განმსჭვალული მისი პოეზიაც. მისივე სიტყვები რომ გავიმეორო – კარგა ხანს მომიწიაო გამომცემლობების კართან ყურყუტი, ჩემს მეგობარს, შესანიშნავ პოეტსა და მთარგმნელს ნეტარხსენებულ იორამ ქემერტელიძეს უნდა ვუმადლოდე, ჩემმა წიგნმა დღის სინათლე რომ იხილაო.

მაშინ ბატონი იორამი გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში“ სალიტერატურო რედაქციას უძღვებოდა. სწორედ მისი ხელდასხმით მოხდა 1988 წელს ლერი ალიმონაკის წიგნის **„ჟამი სიჩუმისას“** გამოცემა, ხოლო წიგნში შესული 1981 წელს დაწერილი პოემა, იგავურად სულხან-საბა ორბელიანის ბერულ-განდეგილურ მედიტაციებს რომ გვამცნობს, სინამდვილეში პოეტის ეგზისტენციურ ვნებებსა და ქვეყნის იმჟამინდელ ავბედით ხვედრში სალმობაზე მიგვანიშნებს. ლერი ალიმონაკმა ნათელმხილველივით წინასწარვე განსჭვრიტა ის ეპოქალური ქარტეხილები, სისხლიანი პერიპეტიები, რაც ჩვენმა ქვეყანამ პოემის დაწერიდან ათი, ოცი და ოცდაათი წლების შემდეგ იწვნია.

* * *

**უკანასკნელი** წლები მწერალმა უძღვნა რომანს **„ელიაზარის დაბრუნება“**. ჩვევას არ უღალატა, მისი პოეზიიდან გამომდინარე, პროზაშიც გაატარა მისტიკურ-მითოლოგიური კონცეფცია, რაც რომანის გმირის, იგივე რეინკარნაციული მითოლოგიური პრომეთე-ამირანისა, ელიაზარის სახეში გარდაისახა. ელიაზარი, – ხელოვანი, მოწამე კაცი, საკუთარ საარსოში იხსენებს ამირანს, როგორც თავის პირველკაცს და მიილტვის მასთან დაბრუნებას, განახლებას, აღდგომას.

არ ვიცი ჩემი ნაადრევად გარდაცვლილი მეგობრები ლუხუმ მიგრიაული და გივი თევზაძე რომ მოსწრებოდნენ ლერი ალიმონაკის „ელიაზარს“, რამდენჯერ გადაიკითხავდნენ მას, არა შეცნობისთვის (რადგან ორივენი ლერი ალიმონაკივით ფილოსოფიურ-ასკეტურ-მისტიკურ სულს ატარებდნენ), არამედ სიამოვნებისთვის... მე კი ხშირად ვუბრუნდები ხოლმე ჩემი უფროსი მეგობრის შემოქმედებას, მაშინ, როდესაც ცხოვრების რაობაზე ფიქრები შემომაწვება, სულს ცხოვრებისეული ფილოსოფია რომ მოენატრება.

* * *

**ცოტა** მოგვიანებით ვაპირებდი, მოგონებებში შევხებოდი ამ ნიჭიერ პიროვნებას, არა მის შემოქმედებას, არამედ ჩვენს ურთიერთობას, მაგრამ საბაბიც მომეცა – ლერი ალიმონაკი – შესანიშნავი პოეტი, მთარგმნელი, მწერალი, პუბლიცისტი, სულით ძლიერი ადამიანი, ჩუმი, ასკეტური, მითოლოგიურ წარსულში მოხეტიალე ყარიბი, უბრალოდ, დიდი პიროვნება – იუბილარია – 80 წლისა შესრულდა.

გილოცავთ, ბატონო ლერი, თქვენ ხომ დავიწყებისთვის განწირულ დიდ პოეტს უპატრონეთ და მხოლოდ ეს ღირდა ერთ ცხოვრებად.

**მამუკა ვაშაკიძე**

# სატენდერო მოწვევა

**საქართველო**

**შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტი (SRAMP)**

**სესხის №ი.: IBRD 8599 –GE**

**კონტრაქტის დასახელება:** ლოტი 1 - ჩოხატაური-ზომლეთის საავტომობილო გზის (შ 83) მონაკვეთის კმ 3.5 - კმ 13.8 რეაბილიტაცია; ლოტი 2 - საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის საავტომობილო გზის (შ 02) მონაკვეთის კმ 17 - კმ 19.5 რეაბილიტაცია; ლოტი 3 - ოზურგეთი-ნატანები-ურეკის საავტომობილო გზის (შ 46) მონაკვეთის კმ 0.0 - კმ 2.8 რეაბილიტაცია; ლოტი 4 - ოზურგეთი-ნატანები-ურეკის საავტომობილო გზის (შ 46) მონაკვეთის კმ 16 – 21.2 და კმ 21.7 - კმ 22.0 რეაბილიტაცია.

**სატენდერო მოწვევა:** SRAMP/CW/NCB-12 (ლოტი 1, ლოტი 2, ლოტი 3 და ლოტი 4)

1. საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტისთვის (SRAMP).** აღნიშნული პროექტიდან გარკვეული თანხა გამოყენებული იქნება კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების ასანაზღაურებლად. კონტრაქტის დასახელებაა: ლოტი 1 - ჩოხატაური-ზომლეთის საავტომობილო გზის (შ 83) მონაკვეთის კმ 3.5 - კმ 13.8 რეაბილიტაცია; ლოტი 2 - საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის საავტომობილო გზის (შ 02) მონაკვეთის კმ 17- კმ 19.5 რეაბილიტაცია; ლოტი 3 - ოზურგეთი-ნატანები-ურეკის საავტომობილო გზის (შ 46) მონაკვეთის კმ 0.0 - კმ 2.8 რეაბილიტაცია; ლოტი 4 - ოზურგეთი-ნატანები-ურეკის საავტომობილო გზის (შ 46) მონაკვეთის კმ 16 – 21.2 და კმ 21.7 - კმ 22.0 რეაბილიტაცია.

2. პროექტის განმახორციელებელი უწყება, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ქვემდებარეობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ პრეტენდენტებს წარმოადგინონ სატენდერო წინადადებები სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად. სამუშაოების განხორციელების პერიოდია **ლოტი 1 – 16 თვე, ლოტი 2 – 6 თვე, ლოტი 3 - 6 თვე და ლოტი 4 - 9 თვე.**

3. სამუშაოების სავარაუდო ღირებულებაა **ლოტი 1 –12,574,605 ლარი, ლოტი 2 –2,485,237 ლარი, ლოტი 3 - 2,971,825 ლარი და ლოტი 4 - 6,311,659 ლარი** ყველა გადასახადის, ბაჟის და სახელმწიფო მოსაკრებლის ჩათვლით ITB - 14.7 ქვეთავის შესაბამისად. შეთავაზების ავტორმა უნდა წარმოადგინოს შეთავაზება არსებული საბაზრო ფასების და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს შემოთავაზებული სამუშაოების ფასწარმოქმნაზე.

4. პრეტენდენტებს შეუძლიათ თავიანთი შეთავაზება წარმოადგინონ ერთ ან რამდენიმე ლოტისთვის, როგორც ეს არის განსაზღვრული სატენდერო დოკუმენტაციით. პრეტენდენტებს, რომლებთაც სურთ ფასდაკლების შეთავაზება იმ შემთხვევაში, თუკი მათ ერთზე მეტი კონტრაქტი მიენიჭებათ, აქვთ ამის უფლება, თუ ეს ფასდაკლება აღნიშნული იქნება სატენდერო წინადადებაში.

5. სამუშაოების შესყიდვა ჩატარდება ეროვნული ტენდერის (NCB) პროცედურებით, რომლებიც აღწერილია მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში - "მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ საქონლის, სამუშაოებისა და არასაკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების პირობებით (2011 წლის იანვარი, განახლებული 2014 წლის ივლისში)" და ხელმისაწვდომია ყველა უფლებამოსილი პრეტენდენტისთვის როგორც ეს განსაზღვრულია შესყიდვების სახელმძღვანელოთი. დამატებით, გთხოვთ იხელმძღვანელოთ 1.6 და 1.7 პუნქტებით, რომლებიც განსაზღვრავენ მსოფლიო ბანკის პოლიტიკას ინტერესთა კონფლიქტის შესახებ.

6. დაინტერესებულ უფლებამოსილ პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის სრული პაკეტის მიღება შეუძლიათ ინგლისურ ენაზე:

- ქვემოთ მითითებულ მისამართზე წარმოადგინონ წერილობითი მოთხოვნა სატენდერო დოკუმენტაცის მისაღებად ტენდერისთვის: SRAMP/CW/NCB-12 (ლოტი 1, ლოტი 2, ლოტი 3 და ლოტი 4): ლოტი 1 - ჩოხატაური-ზომლეთის საავტომობილო გზის (შ 83) მონაკვეთის კმ 3.5 - კმ 13.8 რეაბილიტაცია; ლოტი 2 - საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის საავტომობილო გზის (შ 02) მონაკვეთის კმ 17- კმ 19.5 რეაბილიტაცია; ლოტი 3 - ოზურგეთი-ნატანები-ურეკის საავტომობილო გზის (შ 46) მონაკვეთის კმ 0.0 - კმ 2.8 რეაბილიტაცია; ლოტი 4 - ოზურგეთი-ნატანები-ურეკის საავტომობილო გზის (შ 46) მონაკვეთის კმ 16 – 21.2 და კმ 21.7 - კმ 22.0 რეაბილიტაცია.
- სატენდერო დოკუმენტების სრული პაკეტის ინგლისურ ენაზე ელექტრონული ფორმატით ჩამოტვირთვა შესაძლებელია უფასოდ.
- მონაწილეები სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ ელექტრონული ფორმით, ელ-ფოსტის საშუალებით. დამკვეთი არ იღებს პასუხისმგებლობას იმ შემთხვევისათვის, თუკი ადრესატი ვერ მიიღებს დოკუმენტაციას.

7. პრეტენდენტები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მინიმალურ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს, რათა გაიარონ საკვალიფიკაციო შერჩევა კონტრაქტის მისანიჭებლად:

*ლოტი 1*

*a.* უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში (2017,2018,2019) საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა მინიმუმ **12,600,000 ლარის** ოდენობით, რომელიც დაითვლება მიმდინარე ან/და დასრულებული კონტრაქტებიდან მიღებული დადასტურებული გადახდებისაგან, გაყოფილი 3-ზე;

*b.* პრეტენდენტის მხრიდან წარმოდგენილ უნდა იქნას ლიკვიდური აქტივების და/ან საკრედიტო საშუალებების (გარდა ავანსის თანხისა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს კონტრაქტის ფარგლებში) ხელმისაწვდომობის დასტური მინიმუმ **1,600,000 ლარის** ოდენობით;

*c.* ძირითადი კონტრაქტორის, ერთობლივი საწარმოს წევრის, მენეჯმენტ კონტრაქტორის ან ქვე-კონტრაქტორის სამშენებლო გამოცდილება უნდა მოიცავდეს **2015 წლის 1 იანვრიდან სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადამდე პერიოდში** მინიმუმ ერთ (1) კონტრაქტს, ღირებულებით არანაკლებ **10,000,000 ლარი** ან ორ (2) კონტრაქტს, თითოეული ღირებულებით არანაკლებ **5,000,000** ლარი, რომლებიც წარმატებით განხორციელდა და არსებითად დასრულებულია (სამუშაოების 80% ან მეტი დასრულებულია) და წინამდებარე სატენდერო მოწვევით გათვალისწინებული სამუშაოების მსგავსია;

*d.* მინიმალური გამოცდილება შემდეგ ძირითად აქტივობებში:

- **2015** წლის 1 იანვრიდან განცხადების მიღების თარიღამდე რომელიმე ერთ წელს არანაკლებ **39 000** $მ^2$ ასფალტის საფარის სამუშაოები;

*e. დამატებითი საკვალიფიკაციო კრიტერიუმის მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია სატენდერო დოკუმენტაციის III ნაწილში – სატენდერო დოკუმენტაციის შეფასებისა და საკვალიფიკაციო კრიტერიუმი.*

*ლოტი 2*

*a.* უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში (2017,2018,2019) საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა მინიმუმ **2,500,000 ლარის** ოდენობით, რომელიც დაითვლება მიმდინარე ან/და დასრულებული კონტრაქტებიდან მიღებული დადასტურებული გადახდებისაგან, გაყოფილი 3-ზე;

*b.* პრეტენდენტის მხრიდან წარმოდგენილ უნდა იქნას ლიკვიდური აქტივების და/ან საკრედიტო საშუალებების (garda ავანსის თანხისა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს კონტრაქტის ფარგლებში) ხელმისაწვდომობის დასტური მინიმუმ **900,000 ლარის** ოდენობით;

*c.* ძირითადი კონტრაქტორის, ერთობლივი საწარმოს წევრის, მენეჯმენტ კონტრაქტორის ან ქვე-კონტრაქტორის სამშენებლო გამოცდილება უნდა მოიცავდეს **2015 წლის 1 იანვრიდან სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადამდე პერიოდში** მინიმუმ ერთ (1) კონტრაქტს, ღირებულებით არანაკლებ **2,000,000 ლარი** ან ორ (2) კონტრაქტს, თითოეული ღირებულებით არანაკლებ **1,000,000** ლარი, რომლებიც წარმატებით განხორციელდა და არსებითად დასრულებულია (სამუშაოების 80% ან მეტი დასრულებულია) და წინამდებარე სატენდერო მოწვევით გათვალისწინებული სამუშაოების მსგავსია;

*d.* მინიმალური გამოცდილება შემდეგ ძირითად აქტივობებში:

- **2015** წლის 1 იანვრიდან განცხადების მიღების თარიღამდე რომელიმე ერთ წელს არანაკლებ **20 000** $მ^2$ ასფალტის საფარის სამუშაოები;

*e. დამატებითი საკვალიფიკაციო კრიტერიუმის მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია სატენდერო დოკუმენტაციის III ნაწილში – სატენდერო დოკუმენტაციის შეფასებისა და საკვალიფიკაციო კრიტერიუმი.*

*ლოტი 3*

*a.* უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში (2017,2018,2019) საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა მინიმუმ **3,000,000 ლარის** ოდენობით, რომელიც დაითვლება მიმდინარე ან/და დასრულებული კონტრაქტებიდან მიღებული დადასტურებული გადახდებისაგან, გაყოფილი 3-ზე;

*b.* პრეტენდენტის მხრიდან წარმოდგენილ უნდა იქნას ლიკვიდური აქტივების და/ან საკრედიტო საშუალებების (გარდა ავანსის თანხისა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს კონტრაქტის ფარგლებში) ხელმისაწვდომობის დასტური მინიმუმ **1,000,000 ლარის** ოდენობით;

*c.* ძირითადი კონტრაქტორის, ერთობლივი საწარმოს წევრის, მენეჯმენტ კონტრაქტორის ან ქვე-კონტრაქტორის სამშენებლო გამოცდილება უნდა მოიცავდეს **2015 წლის 1 იანვრიდან სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადამდე პერიოდში** მინიმუმ ერთ (1) კონტრაქტს, ღირებულებით არანაკლებ **2,400,000 ლარი** ან ორ (2) კონტრაქტს, თითოეული ღირებულებით არანაკლებ **1,200,000** ლარი, რომლებიც წარმატებით განხორციელდა და არსებითად დასრულებულია (სამუშაოების 80% ან მეტი დასრულებულია) და წინამდებარე სატენდერო მოწვევით გათვალისწინებული სამუშაოების მსგავსია;

*d.* მინიმალური გამოცდილება შემდეგ ძირითად აქტივობებში:

- **2015** წლის 1 იანვრიდან განცხადების მიღების თარიღამდე რომელიმე ერთ წელს არანაკლებ **25 000** $მ^2$ ასფალტის საფარის სამუშაოები;

*e. დამატებითი საკვალიფიკაციო კრიტერიუმის მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია სატენდერო დოკუმენტაციის III ნაწილში – სატენდერო დოკუმენტაციის შეფასებისა და საკვალიფიკაციო კრიტერიუმი.*

*ლოტი 4*

*a.* უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში (2017,2018,2019) საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა მინიმუმ **6,300,000 ლარის** ოდენობით, რომელიც დაითვლება მიმდინარე ან/და დასრულებული კონტრაქტებიდან მიღებული დადასტურებული გადახდებისაგან, გაყოფილი 3-ზე;

*b.* პრეტენდენტის მხრიდან წარმოდგენილ უნდა იქნას ლიკვიდური აქტივების და/ან საკრედიტო საშუალებების (გარდა ავანსის თანხისა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს კონტრაქტის ფარგლებში) ხელმისაწვდომობის დასტური მინიმუმ **1,400,000 ლარის** ოდენობით;

*c.* ძირითადი კონტრაქტორის, ერთობლივი საწარმოს წევრის, მენეჯმენტ კონტრაქტორის ან ქვე-კონტრაქტორის სამშენებლო გამოცდილება უნდა მოიცავდეს **2015 წლის 1 იანვრიდან სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადამდე პერიოდში** მინიმუმ ერთ (1) კონტრაქტს, ღირებულებით არანაკლებ **5,000,000 ლარი** ან ორ (2) კონტრაქტს, თითოეული ღირებულებით არანაკლებ **2,500,000** ლარი, რომლებიც წარმატებით განხორციელდა და არსებითად დასრულებულია (სამუშაოების 80% ან მეტი დასრულებულია) და წინამდებარე სატენდერო მოწვევით გათვალისწინებული სამუშაოების მსგავსია;

*d.* მინიმალური გამოცდილება შემდეგ ძირითად აქტივობებში:

- **2015** წლის 1 იანვრიდან განცხადების მიღების თარიღამდე რომელიმე ერთ წელს არანაკლებ **35 000** $მ^2$ ასფალტის საფარის სამუშაოები;

*e. დამატებითი საკვალიფიკაციო კრიტერიუმის მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია სატენდერო დოკუმენტაციის III ნაწილში – სატენდერო დოკუმენტაციის შეფასებისა და საკვალიფიკაციო კრიტერიუმი.*

**ერთობლივი საწარმოს მიერ სატენდერო წინადადების წარმოდგენის შემთხვევაში პრეტენდენტი ყურადღებით უნდა გაეცნოს სპეციფიკურ მოთხოვნებს რომლებიც მითითებულია სატენდერო დოკუმენტაციის მესამე ნაწილში:** ***სატენდერო დოკუმენტაციის შეფასებისა და საკვალიფიკაციო კრიტერიუმი.***

**იმ შემთხვევისთვის, თუ პრეტენდენტი სატენდერო წინადადებას წარმოადგენს ერთზე მეტ ლოტზე (ინდივიდუალურ კონტრაქტზე) შეფასების პროცედურები აღწერილია სატენდერო დოკუმენტაციის III ნაწილის – სატენდერო დოკუმენტაციის შეფასებისა და საკვალიფიკაციო კრიტერიუმი, 2.2 და 2.6 ქვეპუნქტში.**

8. სატენდერო წინადადებები უნდა იქნეს წარმოდგენილი ქვემოთ მითითებულ მისამართზე **2020 წლის 18 ნოემბრის 15:00 საათამდე.** წინადადებების ელექტრონულად წარმოდგენა დაუშვებელია. დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები არ მიიღება. სატენდერო წინადადებები გაიხსნება **2020 წლის 18 ნოემბერს, 15:00 საათზე** პრეტენდენტების წარმომადგენლების თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ დასწრების სურვილს. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ COVID-19-ის გავრცელებასთან დაკავშირებით შექმნილი პანდემიური სიტუაციის გამო, ტენდერის გახსნისას დამსწრეთა რაოდენობა შეზღუდულია თითოეული პრეტენდენტის თითო წარმომადგენლით.

9. ყველა სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის დეკლარაცია. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის დეკლარაცია ძალაში უნდა იყოს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის გასვლის დღიდან 28 დღის განმავლობაში. ერთობლივი საწარმოს მიერ სატენდერო წინადადების წარმოდგენის შემთხვევაში პრეტენდენტი ყურადღებით უნდა გაეცნოს ინსტრუქციის 19.8 პუნქტს, რადგან ხსენებულ პუნქტთან შეუსაბამობა შესაძლოა სატენდერო წინადადების უარყოფის საფუძველი გახდეს.

10. დამკვეთის მისამართი სატენდერო წინადადებების წარმოდგენისათვის:

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი:

საერთაშორისო შესყიდვების სამსახური, მე-4 სართული,

ალ. ყაზბეგის გამზირი 12, 0160 თბილისი, საქართველო

ტელეფონი: + (995 322) 37-05-08

ფაქსი: + (995 322) 31-30-34

ელ-ფოსტა: info@georoad.ge

ვებ-გვერდი: www.georoad.ge

# INVITATION FOR BIDS

**Borrower:** GEORGIA

**Project:** Secondary Road Asset Management Project (SRAMP)

**Credit/Loan No.** IBRD 8599-GE

**Contract Title:** Procurement of Lot 1 – Rehabilitation of Chokhatauri – Zomleti (sh83) road section km 3.5- km 13.8, Lot 2 – Rehabilitation of Sajavakho-Chokhatauri-Ozurgeti-Kobuleti road (sh02) km 17- km 19.5, Lot 3 Rehabilitation of Ozurgeti – Natanebi – Ureki (sh46) road section km 0.0 – km 2.8, Lot 4 - Rehabilitation of Ozurgeti – Natanebi – Ureki (sh46) road section km 16 – km 21.2 and km 21.7 – km 22.0

**Reference No.:** SRAMP/CW/NCB-12 (Lot 1, Lot 2, Lot 3 and Lot 4)

1. Georgia has received financing from the World Bank toward the cost of the **Secondary Road Asset Management Project (SRAMP)**, and intends to apply part of the proceeds toward payments under the contracts for **Procurement of Lot 1 – Rehabilitation of Chokhatauri – Zomleti (sh83) road section km 3.5- km 13.8, Lot 2 – Rehabilitation of Sajavakho-Chokhatauri-Ozurgeti-Kobuleti road (sh02) km 17- km 19.5, Lot 3 Rehabilitation of Ozurgeti – Natanebi – Ureki (sh46) road section km 0.0 – km 2.8, Lot 4 - Rehabilitation of Ozurgeti – Natanebi – Ureki (sh46) road section km 16 – km 21.2 and km 21.7 – km 22.0**

2. The project implementing agency, the Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia now invites eligible bidders to submit their bids for execution of rehabilitation works. Implementation period for execution of rehabilitation works is **Lot 1 – 16 months, Lot 2 – 6 months, Lot 3 - 6 months and Lot 4 - 9 months.**

3. The estimated cost of proposed works is **Lot 1 – GEL 12,574,605, Lot 2 – GEL 2,485,237, Lot 3 - GEL 2,971,825 and Lot 4 - GEL 6,311,659** including all taxes, duties and other governmental levies as elaborated under clause ITB - 14.7. However, it is the responsibility of the bidder to submit a bid price, which could be below or above the estimated cost, based on the current market prices and any other factors, which may influence the pricing of the proposed works.

4. The Bidders may bid for one or any combination of lots, as further defined in the bidding document. The Bidders wishing to offer discounts in case they are awarded more than one contract will be allowed to do so provided those discounts are included in the Letter of Bid.

5. Bidding will be conducted through the National Competitive Bidding procedures as specified in the World Bank's Guidelines: Procurement of Goods, Works and Non-Consulting Services under IBRD Loans and IDA Credits & Grants by World Bank Borrowers January 2011, revised July 2014 ("Procurement Guidelines"), and is open to all eligible bidders as defined in the Procurement Guidelines. In addition, please refer to paragraphs 1.6 and 1.7 setting forth the World Bank's policy on conflict of interest.

6. To obtain a complete set of bidding documentation in English language, the interested eligible bidders' should:

- write to address below requesting the Bidding Documents for SRAMP/CW/NCB-12 (Lot 1, Lot 2, Lot 3 and Lot 4): Procurement of Lot 1 – Rehabilitation of Chokhatauri – Zomleti (sh83) road section km 3.5- km 13.8, Lot 2 – Rehabilitation of Sajavakho-Chokhatauri-Ozurgeti-Kobuleti road (sh02) km 17- km 19.5, Lot 3 Rehabilitation of Ozurgeti – Natanebi – Ureki (sh46) road section km 0.0 – km 2.8, Lot 4 - Rehabilitation of Ozurgeti – Natanebi – Ureki (sh46) road section km 16 – km 21.2 and km 21.7 – km 22.0
- The Bidding Documents will be provided in an electronic format, free of charge;

The Bidding Document will be sent by e-mail. No liability will be accepted for delivery failure.

7. Bidders shall meet the following minimum qualifying criteria to qualify for award of the contract:

Lot 1

a. Minimum average annual construction turnover of **GEL 12,600,000** calculated as total certified payments received for contracts in progress and/or completed within **the last 3 years (2017, 2018, 2019), divided by 3;**

b. Access to, or availability of, financial resources such as liquid assets, unencumbered real assets, lines of credit, and other financial means, other than any contractual advance payments to meet the following cash-flow requirement: **GEL 1,600,000;**

c. Participation as a JV member, contractor, management contractor, or subcontractor, in at least one (1) similar contract with a minimum value of **GEL 10,000,000** or two (2) similar contracts with a minimum value of **GEL 5,000,000** of each contract that have been successfully and substantially completed and that are similar to the proposed Works between 1st January 2015 and bid submission deadline;

d. A minimum construction experience in the following key activity:

e. **Asphalt pavement** - at least **39,000 m$^2$** completed in any consecutive 12 months period between 1st January 2015 and bid submission deadline;

f. Additional Qualification Criterion for Bidder's Available Annual Capacity as defined in Section III – Evaluation and Qualification Criteria of Bidding Documents.

Lot 2

a. Minimum average annual construction turnover of **GEL 2,500,000** calculated as total certified payments received for contracts in progress and/or completed within **the last 3 years (2017, 2018, 2019), divided by 3;**

b. Access to, or availability of, financial resources such as liquid assets, unencumbered real assets, lines of credit, and other financial means, other than any contractual advance payments to meet the following cash-flow requirement: **GEL 900,000;**

c. Participation as a JV member, contractor, management contractor, or subcontractor, in at least one (1) similar contract with a minimum value of **GEL 2,000,000** or two (2) similar contracts with a minimum value of **GEL 1,000,000** of each contract that have been successfully and substantially completed and that are similar to the proposed Works between 1st January 2015 and bid submission deadline;

d. A minimum construction experience in the following key activities:

- **Asphalt pavement** - at least 20,000 m$^2$ completed in any consecutive 12 months period between 1st January 2015 and bid submission deadline;

e. Additional Qualification Criterion for Bidder's Available Annual Capacity as defined in Section III – Evaluation and Qualification Criteria of Bidding Documents.

Lot 3

a. Minimum average annual construction turnover of **GEL 3,000,000** calculated as total certified payments received for contracts in progress and/or completed within **the last 3 years (2017, 2018, 2019), divided by 3;**

b. Access to, or availability of, financial resources such as liquid assets, unencumbered real assets, lines of credit, and other financial means, other than any contractual advance payments to meet the following cash-flow requirement: **GEL 1,000,000;**

c. Participation as a JV member, contractor, management contractor, or subcontractor, in at least one (1) similar contract with a minimum value of **GEL 2,400,000** or two (2) similar contracts with a minimum value of **GEL 1,200,000** of each contract that have been successfully and substantially completed and that are similar to the proposed Works between 1st January 2015 and bid submission deadline;

d. A minimum construction experience in the following key activity:

- **Asphalt pavement** - at least **25,000 m$^2$** completed in any consecutive 12 months period between 1st January 2015 and bid submission deadline;

e. Additional Qualification Criterion for Bidder's Available Annual Capacity as defined in Section III – Evaluation and Qualification Criteria of Bidding Documents.

Lot 4

a. Minimum average annual construction turnover of **GEL 6,300,000** calculated as total certified payments received for contracts in progress and/or completed within **the last 3 years (2017, 2018, 2019), divided by 3;**

b. Access to, or availability of, financial resources such as liquid assets, unencumbered real assets, lines of credit, and other financial means, other than any contractual advance payments to meet the following cash-flow requirement: **GEL 1,400,000;**

c. Participation as a JV member, contractor, management contractor, or subcontractor, in at least one (1) similar contract with a minimum value of **GEL 5,000,000** or two (2) similar contracts with a minimum value of **GEL 2,500,000** of each contract that have been successfully and substantially completed and that are similar to the proposed Works between 1st January 2015 and bid submission deadline;

d. A minimum construction experience in the following key activities:

- **Asphalt pavement** - at least **35,000 m$^2$** completed in any consecutive 12 months period between 1st January 2015 and bid submission deadline;

e. Additional Qualification Criterion for Bidder's Available Annual Capacity as defined in Section III – Evaluation and Qualification Criteria of Bidding Documents.

In case the bidder applies to the bidding as a Joint Venture, please refer to the specific requirements for Joint Venture partners in the Section III – Evaluation and Qualification Criteria of Bidding Documents.

In case, the bidder applies for more than one lot (individual contract) the Multiple Contracts evaluation procedure is described under sub-paragraph 2.2 and 2.6 of Section III - Evaluation and Qualification Criteria.

8. The Bids must be delivered at the address below on or before **November 18, 2020, 15:00 hours local time.** Electronic bidding will not be permitted. Late bids will be rejected. Bids will be publicly opened in the presence of the bidders' designated representatives and anyone who choose to attend at the address below on **November 18, 2020, 15:00 hours local time.** Please note that due the pandemic situation related to the COVID-19, the number of attendees to the bid opening is limited to only one representative of each bidder.

9. All bids must be accompanied by a Bid-Securing Declaration. Bid-Securing Declaration shall be valid for 28 days beyond the validity of the Bid. For bids submitted by a JV bidder shall carefully read ITB 19.8 as failure to comply with this ITB shall be grounds for bid rejection.

10. The Employer's address for the purpose of Bid submission is:

Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia

International Procurement Division, IV Floor

Al. Kazbegi Avenue 12, Tbilisi, 0160 Georgia

Tel: + (995 322) 37-05-08

Fax: + (995 322) 31-30-34

E-mail: info@georoad.ge

Web Site: www.georoad.ge




## რუსები იუმორის ხასიათზე არიან...

**რუსული მედია და სამთავრობო უწყებები აქტიურად ავრცელებენ პროპაგანდას ოქსფორდის უნივერსიტეტის მიერ მიღებული კორონავირუსის ვაქცინის უვარგისობასთან დაკავშირებით.**

რუსეთში აცხადებენ, რომ ზემოხსენებულმა ვაქცინამ ადამიანები შესაძლოა, მაიმუნებად გადააქციოს, რადგან ანტივირუსულ პრეპარატზე შიმპანზის ვირუსია შეყვანილი. რუსულ სოციალურ მედიაში აღნიშნავენ შესაბამისი ფოტო-ვიდეო ე.წ მტკიცებულებებით, რომ ნებისმიერი ვაქცინა, რომლებზეც ბრიტანეთში მუშაობენ, სიცოცხლისთვის საშიშია.

პროპაგანდისტული ფოტოვიდეომასალა აგრეთვე გავრცელდა რუსეთის ტელეარხ |ESTI NEWS-ზეც. აქტიურად ვრცელდება ბორის ჯონსონის ფოტოც, რომელსაც მაიმუნის სახე აქ, ამ ფაქტით რუსეთში მანიპულატორები ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ „ასტრაზენაკას" მიერ დამზადებულ ვაქცინას ადამიანი შეუძლია მაიმუნად გადააქციოს. აგრეთვე გავრცელდა ერთ-ერთი ფოტო, სადაც ასახულია შიმპანზე კომპანია „ასტრაზენაკას" ლაბორატორიის სამოსში, რომელსაც ხელში ნემსში მოთავსებული ვაქცინის დოზა უჭირავს.




## ვის არ შეხვდება კორონავირუსი

**ამერიკელი და შვეიცარიელი მეცნიერები თავიანთი კვლევებითა და სამეცნიერო ნაშრომებით ამტკიცებენ, რომ ის ადამიანები, რომელთაც სიცოცხლის მანძილზე ერთხელ მაინც გადაუტანიათ ატიპური პნევმონია, კოვიდ 19-ით არ დაავადდებიან.**

კვლევის თანახმად ირკვევა, რომ კორონავირუსი , რომელიც მწვავე რესპირატორულ პრობლემებს იწვევს, ახდენს ანტისხეულების სტიმულირებას. წარმოქმნილი ცილები კი პასუხისმგებელნი არიან უჯრედების ზედაპირზე მიმაგრებაზე.

მეცნიერთა აზრით, აღნიშულ ანტისხეულებს SARS-ის ცილების უბნების ნეიტრალიზება შეუძლია, სწორედ ამის ფონზე ადამიანებს, რომელთაც აღნიშნული სინდრომი ცხოვრებაში ერთხელ მაინც გადაუტანია, კორონავირუსს მისი სხეული არ იღებს.

კალათბურთი

# რას წარსულითა და აწმყოთი დავიმსახურეთ

**სრულიად საქართველოა ჩაბმული ევრობასკეტისთვის ღირსეულად სამასპინძლოდ გაჩაღებულ სამზადისში, რაც სამამულო კალათბურთის საამაყო წარსულის გამოძახილს წარმოადგენს.**

**მართლაც, ძველი გვარდიის ლეგენდარულ მოთამაშეთა გვარები ოქროს ასოებითაა ჩაწერილი სპორტის პოპულარული სახეობის მატიანეში, ჩვენი გუნდების მოპოვებული ისტორიული წარმატებები კი საიმედოდ გადებულ ერთგვარ ხიდად იქცა არანაკლებ შთამბეჭდავ აწმყოსთან.**

**დიახ, კონტინენტურ ფორუმზე ზედიზედ მეხუთედ გამოსვლის პატივი თანამედროვე ვარსკვლავთა შეტანილ წვლილსაც უკავშირდება, რომლებიც პრესტიჟულ საკლუბო ტურნირებში ტრიუმფსა (გიორგი შერმადინი ევროლიგის ორგზის გამარჯვებულია!) და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, ნბა-ში წარუშლელი კვალის დატოვებაში გამოიხატა (ზაზა ფაჩულიას სახით ოქროს ბეჭდის ორგზის მფლობელიც გვამშვენებს!).**

**ვფიქრობთ, შემოთავაზებული წერილი**



**გულშემატკივრებს კიდევ ერთხელ დაარწმუნებს, რომ ფიბამ საფუძვლიანად გაითვალისწინა ჩვენი უმდიდრესი ტრადიციები და სავსებით დამსახურებულად გამოგვიცხადა უდიდესი ნდობა — შემთხვევით ხომ არაფერი ხდება, მით უმეტეს, ისეთ კონსერვატორულ, ბევრისთვის დახშულ სივრცეში, როგორიც ოფიციალური საერთაშორისო ღონისძიებებია.**

**მაშ ასე, მომავლის რწმენით ამჯერადაც დავბრუნდეთ სათავეებთან:**

სპორტის წარმატებულ და პოპულარულ სახეობათა შორის გამორჩეული ადგილი უკავია კალათბურთს.

ქართველმა კალათბურთელებმა საკლუბო თუ სანაკრებო ტურნირებში არაერთი გამარჯვება მოიპოვეს: საქართველოში აღიზარდნენ ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები, ნბა-სა და წამყვანი ევროპული კლუბების მოთამაშეები; თბილისის „დინამომ“ 1962 წელს ფინალური მატჩი მოუგო მადრიდის „რეალს“ და ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასს დაეუფლა; საქართველოს ვაჟთა ეროვნული ნაკრები გახდა პირველი ქართული გუნდი, რომელმაც ოლიმპიურ სახეობებში ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვა (2010), იქ კი ჯგუფური ეტაპი დაძლია და კონტინენტის 12 საუკეთესო გუნდს შორის მოხვდა...

ქართული კალათბურთის ისტორია კი ასე დაიწყო: 1922 წელს მოსკოვში გამართულ ვსევობუჩის (ვსენაროდნოე ვოენნოე ობუჩენიე — საერთოსახალხო სამხედრო სწავლება) სპარტაკიადაში მონაწილე თბილისელმა მძლეოსანმა **ალექსანდრე ჭელიძემ** შემთხვევით ნახა ბოძებზე დამაგრებული კალათბურთის ფა-



თსუ-ს გუნდი. 1929 წელი

რები და უცხო თამაში. ჭელიძე საქართველოს მუშფაკის (შემდგომში ინდუსტრიული ინსტიტუტი) ფიზკულტურულ წრეს ხელმძღვანელობდა და თბილისში დაბრუნებულმა მუშფაკის ეზოში, უშანგი ჩხეიძის ქუჩაზე, კალათბურთის პირველი მოედანი მოაწყო.

1923 წლის მარტში ამ მოედანზე გაიმართა პირველი ოფიციალური მატჩი მუშფაკის ორ გუნდს შორის. პირველ ქართველ კალათბურთელთა რიგებში იყვნენ გიორგი ეგნატაშვილის ტანვარჯიშული ჯგუფის წევრები **მიხეილ ცხვედაძე, გიორგი საყვარელიძე, ბორის გერასიმოვი, ალექსანდრე დავიდოვი, მიხეილ იზაშვილი** და სხვები...

1924 წელს, თბილისელ რკინიგზელთა თაოსნობით მოეწყო ტურნირი ექვსი გუნდის მონაწილეობით, რომელთაგან ერთი — „სინათლე“ — იმავე წელს ამხანაგური მატჩების გასამართავად ბაქოში გაემგზავრა.

„სინათლის“ გამარჯვებით დამთავრდა თბილისის პირველი ჩემპიონატიც (1925), ხოლო მისმა ვაჟთა და გოგონათა გუნდებმა მოიგეს 1927 წელს ქუთაისში ჩატარებული საქართველოს პირველი ჩემპიონატიც.

იმ წლებში თბილისში მომრავლდა კალათბურთის მოედნები. გუნდები ჩამოყალიბდა სპორტულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებში, ქართული დივიზიის ნაწილებში, სასწავლო დაწესებულებებში. პარალელურად, კალათბურთი გავრცელდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

ქუთაისში კალათბურთის პირველი ფარი 1923 წელს გივი კილაძის თაოსნობით ეგრეთ წოდებული მესამე ლეგიონის ეზოში აღიმართა. 1926 წელს მოეწყო პირველი საქალაქო შეჯიბრება, იმავე წელს კი ქუთაისელი კალათბურთელები ბათუმს ეწვივნენ და ადგილობრივ გუნდებს შეხვდნენ.



ალისა ასიტაშვილი

1927 წელს ფიზკულტურის უმაღლესმა საბჭომ კალათბურთის პოპულარიზაციის მიზნით ალექსანდრე ჭელიძე აფხაზეთში მიავლინა, სადაც. შეიქმნა კალათბურთის შემსწავლელი ჯგუფები, მოეწყო შეჯიბრებები და ჩამოყალიბდა აფხაზეთის ნაკრები, რომელიც აქტიურად ჩაება საქართველოს პირველობაში.

კალათბურთით განსაკუთრებით დაინტერესდა სტუდენტი ახალგაზრდობა. მარტო თბილისის უნივერსიტეტს ათეულობით გუნდი ჰყავდა, საქალაქო პირველობის სხვადასხვა ჯგუფში კი უნივერსიტეტელთა თორმეტი გუნდი გამოდიოდა.

1930-იანი წლების დასაწყისში საქართველოში რამდენიმე ძლიერი კლუბი იყო, რომელთა შემადგენლობაში გამოდიოდნენ **ლევან ფალავანდიშვილი, ვლადიმერ და რობერტ მდივნები, ვახტანგ ციციშვილი, არჩილ წერეთელი, ლეონიდ ძეკონსკი, შალვა ყიასაშვილი, გიორგი ავალიშვილი, შალვა დიასამიძე, სურენ ოგანეზოვი** და სხვები.

1934 წელს **ვახტანგ ციციშვილმა** შეადგინა შესაბამისი სასწავლო პროგრამა. მანვე სპორტსაზოგადოება „სტროიტელთან“ ჩამოაყალიბა კალათბურთის პირველი სკოლა, რომელმაც შემდგომ არაერთი ცნობილი ოსტატი აღზარდა.

ომამდელ წლებში ყველაზე უკეთ თბილისის „ლოკომოტივი“ გამოდიოდა. 1944 და 1946 წლებში სსრკ ჩემპიონი იყო თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდი, რომლის შემადგენლობაშიც თამაშობდნენ **ნოდარ ჯორჯიკია, ლეონიდ ძეკონსკი, ბორის სარქისოვი, გივი ახვლედიანი, მიხეილ ფილიპოვი, ოთარ სულაბერიძე** და სხვები. შემდეგ ქართულ კალათბურთში ლიდერობდა თბილისის „დინამო“, რომელიც 1950, 1953, 1954 და 1968 წლებში სსრკ ჩემპიონი იყო, 1949, 1950, 1951 და 1969 წლებში — სსრკ თასის მფლობელი, ხოლო 1962 წელს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი მოიპოვა.

ქართველ კალათბურთელებს ხშირად იწვევდნენ სსრკ ნაკრების შემადგენლო-



ბაში. ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები გახდნენ **ზურაბ საკანდელიძე** და **მიხეილ ქორქია**, მსოფლიოს ჩემპიონები — **ზურაბ საკანდელიძე** და **ნიკოლოზ დერიუგინი**, ევროპის ჩემპიონები — **ოთარ ქორქია, ნოდარ ჯორჯიკია, გურამ მინაშვილი, ვლადიმერ უგრეხელიძე, ზურაბ საკანდელიძე, ამირან სხიერელი, მიხეილ ქორქია, ნიკოლოზ დერიუგინი...** ქართველ ქალთაგან ყველაზე ტიტულოვანია **ალისა ასიტაშვილი**. მან საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ორჯერ გაიმარჯვა ევროპის ჩემპიონატში.

კალათბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის სხვადასხვა დროს სსრკ დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭათ **გიორგი ავალიშვილს, ლეონიდ ძეკონსკის, შალვა დიასამიძეს, მიხეილ კეკელიძეს, გერონტი ბაბახანიდის, გრიგოლ მეუნარგიას, ალექსანდრე მესხს, სულიკო თორთლაძეს, ოთარ ქორქიას** და **ლევან მოსეშვილს**.



წლების განმავლობაში სხვადასხვა თაობის მწვრთნელთა ნაყოფიერმა საქმიანობამ და მოთამაშეთა ოსტატობამ საქართველოს სახელი გაუთქვა კალათბურთის სამყაროში.

1950-იანი წლებიდან მოყოლებული, ოფიციალური თუ ამხანაგური მატჩების გასამართავად, ჩვენში ჩამოდიოდნენ ევროპის წამყვანი საკლუბო თუ ეროვნული ნაკრები გუნდები.

1958-1972 წლებში თბილისს ოთხჯერ ეწვივნენ აშშ-ის კაცთა და ქალთა სამოყვარულო ნაკრებები.

1988 წლის 25 ივლისს თბილისში პირველად ითამაშა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის — ნბა-ს კლუბმა „ატლანტა ჰოუქსმა“...

**ვიტალი ჯაფარიძე**

სულთათანა

# ღვაწლმოსილი, ღირსეული მეგზევე

## რეზო ჩახვაშვილის ხსოვნას



საქართველოს მეგზევეთა საზოგადოება იუწყება, რომ ქვეყნის მეგზევეთა დიდ არმიას გამოაკლდა მაღალი რანგის პროფესიონალი, ღვაწლმოსილი ინჟინერი და საგზაო დარგის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი **რეზო ჩახვაშვილი**.

რეზო ნიკოლოზის ძე ჩახვაშვილი დიბადა 1952 წლის 18 ივლისს გურჯაანის რაიონის სოფ. კარდენახში, მოსამსახურის ოჯახში.

1969 წელს დაამთავრა სოფ. კარდენახის საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც 1976 წელს დაამთავრა წითელ დიპლომზე — გზათა მიმოსვლის ინჟინრის სპეციალობით.

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1976 წელს საქართველოს საავტომობილო გზების სამინისტროს საპროექტო-საგამოკვლევო კანტორაში ინჟინრის თანამდებობაზე, სადაც მუშაობდა 1979 წლამდე. 1979 წლიდან 1987 წლამდე მუშაობდა № 11 საგზაო სარემონტო სამშენებლო სამმართველოში უსაფრთხოების ინჟინრის, სამუშაოთა მწარმოებლის თანამდებობაზე.

1987 წლის თებერვლიდან 1995 წლის აპრილამდე მუშაობდა №4 საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოში მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე, ხოლო 1995 წლის აპრილიდან 1997 წლის ივლისამდე — სამმართველოს უფროსად. 1997 წლის 27 ივლისს მოხდა აღნიშნული ორგანიზაციის პრივატიზაცია და ეწოდა შ.პ.ს. „გზამშენი-4“, რომლის კერძო სტრუქტურულ ერთეულად გარდაქმნიდან სიცოცხლის ბოლომდე იყო მისი გენერალური დირექტორი.

საავტომობილო გზების სისტემაში მუშაობის 44 წლის მანძილზე მისი უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით აშენდა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია ჩაუტარდა რამდენიმე ასეული კილომეტრი გზის მონაკვეთს და სახიდე გადასასვლელებს.

1999 წელს სოფ. აღაიანის შემოსასვლელი გზის დროული და მაღალხარისხიანი ჩაბარებისათვის დაჯილდოვდა მთავრობის ჯილდოთი.

1999 წელს შვედეთში გაიარა კვალიფიკაციის ამაღლების საერთაშორისო პროგრამა სახელწოდებით „საგზაო ადმინისტრაციისა და მისი ქსელის ორგანიზაცია და მენეჯმენტი“, რომელიც ორგანიზებული იყო შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო Sida-ს მხარდაჭერითა და დაფინანსებით, რისთვისაც გადაეცა შესაბამისი სერტიფიკატი.

2000 წელს მონაწილეობდა მსოფლიო საერთაშორისო საგზაო ფედერაციის კონგრესში, რომელიც ჩატარდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქ. მაიამიში, სადაც მიიღო გზებისა და მშენებლობის მსოფლიო ასიციაციის ტექნოლოგიების საერთაშორისო სერტიფიკატი.

2003 წლის 7 ნოემბერს საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიეთობათა აკადემიის საერთო კრების გადაწყვეტილებით, არჩეულია საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის აკადემიკოსად.

2009 წელს ვაზიანი-გომბორი-თელავის კმ27+000 კმ54+000 ს/გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების დროული და მაღალხარისხიანი ჩაბარებისათვის დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

რეზო ჩახვაშვილს, მის ოჯახთან ერთად, არასდროს დაივიწყებს მეგობრები და კოლეგები.

საქართველოს მეგზევეთა
საზოგადოების სახელით
**თამაზ შილაკაძე**

# მუნიციპალურ ტრანსპორტში მგზავრთა კონტროლი ხორციელდება




**„კოვიდ-19“-ის გავრცელების წინააღმდეგ მიმართული რეკომენდაციების აღსრულების მიზნით თბილისის მუნიციპალურ ტრანსპორტში მგზავრთა კონტროლი ხორციელდება.**

დედაქალაქის მერიის ცნობით, ამ მიზნით, მეტროსადგურებთან ინტენსიურ მონიტორინგს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები და თბილისის სატრანსპორტო კომპანიის წარმომადგენლები ახორციელებენ.

თბილისის ვიცე-მერი ირაკლი ხმალაძე მადლობას უხდის შინაგან საქმეთა სამინისტროს პროცესში მხარდაჭერისა და თანადგომისთვის და მოქალაქეებს მეტი სიფრთხილისკენ მოუწოდებს.

თბილისის მერია მოუწოდებს მოქალაქეებს, საზოგადოებრივი ტრანსპორტი გამოიყენონ მხოლოდ და მხოლოდ აუცილებელი მგზავრობისთვის და დაიცვან უსაფრთხოების ყველა წესი.

# გურამ ვარშალომიძე კორონავირუსით გარდაიცვალა



**„ნაციონალური მოძრაობის“** ერთ-ერთი ლიდერის ლევან ვარშალომიძის მამა კორონავირუსით გარდაიცვალა.

გავრცელებული ინფორმაციით, **გურამ ვარშალომიძეს** თანმდევი დაავადება ჰქონდა. მას COVID-19-ის დიაგნოზი რამდენიმე დღის წინ დაუდასტურდა.

წარსულში გურამ ვარშალომიძე აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იყო.

## ილჰამ ალიევი:
# ნიკოლ ფაშინიანი სოროსის პროდუქტია



**აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა სომხეთის პრემიერ-მინისტრს ნიკოლ ფაშინიანს „სოროსის პროდუქტი“ უწოდა.**

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა მთიან ყარაბაღში სეპარატიზმით დაიწყო.

**„მთიან ყარაბაღში სეპარატიზმმა სასხლეტი კაუჭის ფუნქცია შეასრულა. ბევრს დაავიწყდა, თუ ვინ იდგა იმ მიტინგების უკან“,** — აღნიშნა ილჰამ ალიევმა.

# სომხეთს ირანმაც უგანა!

**ირანელმა გენერალმა, ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის მეთაურის მოადგილემ, გენერალმა იადულა ჯავანმა სომხეთი საოკუპაციო ძალად მოიხსენია და მოუწოდა ოფიციალურ ერევანს, რომ გაათავისუფლონ აზერბაიჯანის ისტორიული მიწები.**



ჯავანმა აღნიშნა, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებისა და სიტუაციის დარეგულირების ფუნდამენტური პრინციპია. აღნიშულ რეზოლუციებში მითითებულია, რომ ზემოხსენებული ტერიტორია ეკუთვნის აზერბაიჯანს და ის ოკუპირებულია სომხეთის მიერ. ირანელი გენერლის თქმით, მთიან ყარაბაღში კონფლიქტი უკვე 30 წელია, რაც მიმდინარეობს — **„ისტორიული დოკუმენტები ცხადყოფს, რომ მთიანი ყარაბაღი აზერბაიჯანის ნაწილია. იმისათვის რათა რეგიონში კონფლიქტი აღმოიფხვრას, ეს ტერიტორიები ოკუპაციისგან უნდა იქნეს გათავისუფლებული“.**

სანთელი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს ცნობილ საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეს ირაკლი ალასანიას დედის, საქართველოს ეროვნული გმირის მამია ალასანიას მეუღლის

## დოდო ანდღულაძის

გარდაცვალების გამო

---

ლია და ცისანა შარტავები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათი ოჯახებისათვის ახლობელი და საყვარელი ქალბატონი, მამია ალასანიას მეუღლე

## დოდო ანდღულაძე-ალასანია

და თანაგრძნობას უცხადებენ ირაკლი ალასანიას დედის გარდაცვალების გამო.

# გაიხსნა საფრენი აპარატების ახალი საამწყობო საწარმო

**საპქციო საზოგადოება „თბილავიამშენის“ ტერიტორიაზე საფრენი აპარატების ახალი საამწყობო საწარმოს შენობა გაიხსნა, სადაც თავდაცვის ძალების კუთვნილი საფრენი აპარატები ქართველი სპეციალისტების მიერ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად სრულად აღდგება და გარემონტდება.**



ახალი შენობა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ გახსნეს.

ახალი საამწყობო საწარმო საავიაციო უნივერსიტეტის სტუდენტებმაც დაათვალიერეს, რომლებიც „დელტასა“ და „თბილავიამშენში“ სტაჟირებას გადიან. თავდაცვის მინისტრის ინიციატივით, სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტას“, „თბილავიამშენსა“ და საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აგვისტოში გაფორმდა, რაც ყოველწლიურად დამამთავრებელი კურსის სტუდენტების ანაზღაურებად სტაჟირებას ითვალისწინებს.

ამ ეტაპზე, ახალ საამწყობო საწარმოში საქართველოს თავდაცვის ძალების კუთვნილი მი-24 ტიპის შვეულმფრენების რემონტი მიმდინარეობს. თავდაცვის მინისტრის გადაწყვეტილებით, მი-24-ების გარდა, უახლოეს პერიოდში მოხდება სატრანსპორტო შვეულმფრენების მი-8 მტვ, UH-1 „იროკეზის“ ტიპის და L-39 სასწავლო სავარჯიშო თვითმფრინავების რეაბილიტაცია და განახლება. უკვე მიმდინარეობს საქართველოს თავდაცვის ძალების ბალანსზე არსებული Su-25 ტიპის თვითმფრინავების კაპიტალური სარემონტო სამუშაოები, რომელიც უახლოეს პერიოდში დასრულდება.



# საქართველოს პირველი არხის ახალი კომპლექსის მშენებლობა დაიწყო

**საქართველოს პირველი არხის გენერალურმა დირექტორმა თინათინ ბერძენიშვილმა და შპს „დაგის“ დირექტორმა მიხეილ შარანგიამ საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი შენობის მშენებლობის პირველი ეტაპის დაწყების თაობაზე ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. პირველი ეტაპი მშენებლობის კონსტრუქციულ და არქიტექტურულ ნაწილს მოიცავს.**

შპს „დაგი“ არის საქართველოს პირველი არხის მიერ 2020 წლის ივნისში გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია. მაუწყებლის ახალი შენობა პოლიტკოვსკაიას №31-ში დაახლოებით ორ ჰექტარ მიწის ნაკვეთზე განთავსდება. მშენებლობის შესაბამისი ნებართვა თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურმა 2020 წლის მაისში გასცა. ახალი შენობის დიზაინისა და ვიზუალის შერჩევა კი მაუწყებელმა საზოგადოებას შესთავაზა. პირველად ქართულ რეალობაში შენობის დიზაინი და ვიზუალი ფეისბუქით შეირჩა. ღია კონკურსის გამარჯვებული შპს „თბილქალაქპროექტის“ მიერ წარდგენილი საპროექტო წინადადება გახდა. თანამედროვე დიზაინმა 14 227 ხმა და სპეციალური კომისიის უმაღლესი შეფასება მიიღო. სამშენებლო სამუშაოებს ზედამხედველობას კომპანია „სიემსი“ უწევს.

საქართველოს პირველი არხის გენერალური დირექტორი თინათინ ბერძენიშვილი აცხადებს, რომ არხის განახლების პირველი ძალიან რეალური ეტაპი სწორედ დღეს დაიწყო.

# თავმდაბლობისა და სულიერების მეტრი

**რამდენიმე დღის წინ საქართველოს არაოფიციალური ვიზიტით მონაკოს პრინცესა შარლინ უოტსტოკი და მონაკოს სამეფო დელეგაცია სტუმრობდა. ვიზიტის ფარგლებში, პრინცესა შეხვდა ქართველ პარასპორტსმენებს, დაესწრო ეტლით-მოფარიკავეთა და მჯდომარე ფრენბურთის გუნდების ვარჯიშს და ფოტოები გადაიღო.**

პედიატრი ინგა მამუჩიშვილი პრინცესას პარასპორტსმენებთან შეხვედრის დროს გადაღებულ ფოტოს აქვეყნებს და წერს: **„მონაკოს პრინცესა შარლინ უოტსტოკი მუხლზე დაჩოქილი ჩვენს ცნობილ, საამაყო პარამოფარიკავე ირმასთან. არ უნდა ზემოდან დახედვა და მორჩა. თავმდაბლობის და სულიერების მეტრი, თორემ მონაკოს პრინცესაა, არ დაგავიწყდეთ სულმდაბლებს“** – წერს ინგა მამუჩიშვილი.



# რიგისა და პარიზის მიმართულებით ფრენები აღდგა

**თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ინფორმაციით, ნოემბერში თბილისიდან რიგისა და პარიზის მიმართულებით კვირაში რამდენიმე რეგულარული რეისი შესრულდება.**

მათივე ცნობით, ფრენების განრიგი ასეთია:

თბილისი-რიგა-თბილისი – სამშაბათი, ხუთშაბათი, შაბათი;
თბილისი-პარიზი-თბილისი – ოთხშაბათი, კვირა.

**„ლატვიაში შემსვლელი პირებისთვის სავალდებულოა 10-დღიანი თვითიზოლაციის გავლა. ლატვიის ტრანზიტულად გამოყენებისთვის კი აეროპორტში მაქსიმალური დარჩენის დრო არ უნდა აღემატებოდეს 12 საათს. საფრანგეთის საზღვარი უპირობოდ გახსნილია საქართველოსთან, რომლის საზღვრის გადაკვეთაც შესაძლებელია როგორც მოწვევით ან ბინადრობის მოწმობით, ასევე ტურისტულად“,** – აღნიშნულია თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. მთავრობის გადაწყვეტილებით, ნოემბრიდან ევროპის მიმართულებით თბილისისა და ქუთაისის აეროპორტებიდან პირდაპირი ავიარეისების აღდგენა იგეგმება.



## ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

**განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.**

**ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.**

**(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოზულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

**ავტორთა საყურადღებოდ!**
**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.**

**გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 20 ოქტომბერს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 3.2249; ევრო - 3.7806;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.1772;
100 რუბლი - 4.1413; თურქული ლირა - 0.4064;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8983;
1000 სომხური დრამი - 6.5714.

**ამინდი 17 ოქტომბრისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | +8, | დღე | +28 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +3, | დღე | +29 |
| დასავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | +13, | დღე | +33 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +9, | დღე | +31 |
| თბილისი: | ღამე | +13, | დღე | +27 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge